ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: ტფილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. ოთხშაბათი, გიორგობისთვის 17. 1920 № 150

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

კინო

გაიხსნა

უკვე გაიხსნა ,,არფასტო''-ს მარჯალიტის ეკრანი, რომელზედაც ნაჩვენები იქნება სალონის დრამა ცნობილი რეჟისორის ფიდეს დადგმით და მშვენიერი ტილდი კასსაის მონაწილეობით

აგონიის სიმღერა

დ. ა. ტრეტნოვის სამმართველოს ქვეშ „არფასტო“ რუსთ. პრ. (გოლოვ.) 23.

ახალი ამერიკული დადგმა 5 ოქტომბერს თეატრში მშვენივრად მოწყობილი კრესლოები, ამფიტეატრი და სკამები. მოწაფეებისათვის პირველ სეანსზე ფასები დაკლებულია. დასაწ. 5 საათზე.

ცალ-ცალკე მომენტების სურათები შეიძლება ნახოთ ,,არფასტო''-ს ვიტრინაზე

არფასტო

სახელმწ. თეატრი

ოპერა

17 ნოემბერს
ევგენი ონეგინი
18 ნოემბერს
კოტე და ქეთო

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი.
(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ნოემბრის 20-ს
უგვირგვინო მეფენი
ალ. შანშიაშვილისა
ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა
რეჟისორი: აკაკი ფალავა.
ბილეთები კასაში

საუკეთესო საჩუქარი ბავშვებისთვის!
საქართ. მასწავლებელთა კავშირის გამოცემანი.

გამოვიდა და ისყიდება წიგნის ყველა მაღაზიებში

,,ძერწვა''—სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშთა მხატვრული ნიჭის გასავითარებლად. წიგნში ახსნილია, თუ როგორ უნდა მომზადდეს თიხა. ფასი—70 მ. გაგზავნით.

,,სამი კნუტი''—პატარა ზღაპარი პატარა ბავშვებისათვის, დასურათებული—ფ. 40 მ.

მალე გამოვა გასასყიდად: ,,ვინაა ყველაზე ძლიერი?'', ,,კურდღელი და მისი მეგობრები?'', ,,არწივი და ყვავი'',—ყველა ეს ზღაპრები დასურათებულია. მისამართი: საქ. მასწავლებელთა კავშირის წიგნის მაღაზია, პლეხანოვის პროსპ. № 53, ცენტრალ. ფოსტის პირდაპირ.

გაზ. ,,საქართველო''-ს

აგენტების საყურადღებოდ.

თელავი, ყვირილა-გორი, ახალსენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. ,,საქართველო''-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:

განცხადება.

საჯარო ვაჭრობა.

8.000 ვედრა ვარცისის მამულისა ძველ ღვინოზედ დანიშნული არის 25 ნოემბერს 12 საათზედ მთავრობის შენობაში სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში

3270. 2—1.

1920 წ. ნოემბრის 28-ს
დანიშნულია
არაჩვეულებრივი საზოგადო
კრება
ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა
(ცენტრობანკის).
კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3.
ცენტრობანკის გამგეობა.
0—111.

სატრანზიტო ხელშეკრულება.

როგორც იქმნა ნოემბრის 14 ს ერთის მხრით საქართველომ და მეორეს მხრით აზერბაიჯანმა საბჭოთა რუსეთთან ერთად ხელი მოაწერეს სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმებას. ხუთმა თვემ განვლო, რაც ამ საგანზე მოლაპარაკება სწარმოებს აზერბაიჯანთან მოლაპარაკების ასეთი გაჭიანურება, აქსტაფის ხელშეკრულების სხვა მუხლების აუსრულებლობასთან ერთად, გვამტკიცებდა, რომ წითელი აზერბაიჯანი არ ადგა საქართველოს მიმართ ლოიალურ გზას და რომ მას აზრათ არ ჰქონდა ხელმოწერილი ვალდებულების შესრულება. აზერბაიჯანის ამგვარმა მოქმედებამ, რომელსაც მოსკოვის ლოცვა-კურთხევა ჰქონდა, გასაჭირში ჩააგდო ჩვენი რკინის გზის მოძრაობა და საზოგადოთ ტრანსპორტის საქმე. მეტი წილი ბრალი ამ საქმეში ისევ ჩვენ მიგვიძღვის. ჩვენ ვერ ვისარგებლეთ იმ გამარჯვებით, რომელიც მოჰყვა ჩვენს თავდაცვას, ჩვენს წინააღმდეგ აზერბაიჯანის მოულოდნელი შემოტევის გამო.

მძიმედ დაეტყო, მაშინ შეცდომის ავტორებმა დაიწყეს ამის მონანიება და მოპირდაპირე მხარის მძაფრი მხილებაც.

ხუთი თვის შემდეგ ამ საქმეში შეთანხმების მიღწევა, მაინც სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს დღეს მაინც, რომ აზერბაიჯან-მოსკოვის ეს „კონცესია“ უფრო ნაკლებათ არის გამოწვეული პრინციპიულად კეთილ-ურთიერთობის ჩამოგდების პოლიტიკით, ვიდრე იმ გართულებული მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა წითელი რუსეთისთვის, ამ უკანასკნელ დროს, კერძოდ ამიერ-კავკასიაში და იმ მნიშვნელობის ვარაუდით, რომელსაც დღეს საქართველო თამაშობს, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფარგალში. თუ საქართველოსთვის საძნელო იყო უბაქოს ნავთით ცხოვრება, ბაქოსათვისაც შეუძლებელი იყო ხანგრძლივად უბათუმოდ ცხოვრება. უფრო ამ ობიექტიურმა იძულებამ დაიმორჩილა აზერბაიჯანი და საბჭოთა რუსეთი. ასეა თუ ისე, დღეს ეს საკითხი იურიდიულად მაინც მოგვარებულია, და თუ ამ მოგვარებამ პრაქტიკული განხორციელებაც მიიღო, მეტად დიდი საქმე იქნება, რო-

სებლად. იგივე გარემოება ხელს შეუწყობს ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას. კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება და კეთილშედეგიანი, რომ აზერბაიჯან-მოსკოვმა გულწრფელად უკუაგდეს წარსული არალოიალური განწყობილება საქართველოში და თუ ისინი გულწრფელი დაახლოების პოლიტიკას დაადგნენ. ჯერ ადრეა ამაზედ გადაჭრილი აზრის გამოტანა; საჭიროა დავიცადოთ და საქმეში გამოვცადოთ ეს მათი ქადილი. მანამ კი ჩვენ გვმართებს ჩვენი სამხედრო წონის აწევა და მუდმივი მზად ყოფნა მუდმივ თავდაჭერებასა და ნეიტრალობასთან.

ჩვენ შემთხვევა გვექნება შევეხოთ იმას, თუ საზოგადოთ რანაირი საქონლითაა ურთიერთობა და გაცვლა-გამოცვლა შეიძლება განაღდდეს ამ ხელშეკრულობით. მისი ნამდვილად რეალური სახელდახელო ურთიერთი სარგებლობა ის არის, რომ ჩვენ შეგვეძლება პირველ თვეში, დღიდან საქართველოს რკინის გზის პირველი სამარშრუტო მატარებლის ბაქოში მოსვლისა, მივიღოთ 750 ვაგონი ნავთის პროდუქტი. ხოლო შემდეგომ, მეორე თვიდან დაწყებული, თითო მილიონი ფუთი ყოველ თვე. ეს პროდუქტები თავისუფალია ყოველი ბაჟისა და გადასახადისაგან და გვეთმობა ფუთი გაუწმენდელი ნავთი და მაზუთი 25 მანეთად, გაწმენდილი 50 მანეთად; ბენზინი 70 დან 460 მანეთამდე.

სამაგიეროთ საქართველოც უბაჟოთ, სახელმწიფო გადასახადის გადაუხდელათ, ის აძლევს მოპირისპირე ხელის შემკვრელ მხარეს. ქარხანა „შრომის“ ცეცხლგამძლე აგურს და ცეცხლგამძლე თიხას, პირველს არა უმეტეს ოცი ათასი ცალისა, მეორეს არა უმეტეს ხუთი ათასი ფუთისა-თვეში. ჩვენი ფასები დაწესებული იქნება საქართველოს ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის მიერ

ეს ხსენებული ხელშეკრულების რეალიზაცია დიდს შვებას შეიტანს ჩვენი მოძრაობისა და ტრანსპორტის საქმეში. საჭიროა ეს მოხდეს რაც შეიძლება მალე.

პრესა.

„ახალ სხივსა“ და „ერთობის“ შორის პოლემიკა მწვავდება. საბაბი ეხლა ვინმე „ჭალარა“ შეიქმნა, რომელმაც „ახალ სხივის“ წინა ნომერში ნაღვლიანი წერილი მოათავსა არსებულ უკულმართობის გამო. ,,ერთობამ“ დემაგოგობა დასწამა ,,ჭალარას'', ხოლო ,,ახალი სხივის'' ხელმძღვანელების განცალკევება პირად მოტივებით ახსნა.

,,ახალ სხივის'' უკანასკნელ ნომერში მისი რედაქტორის კირილე ნინიძის ვრცელ საპასუხო წერილს ვკითხულობთ. ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ ზოგიერთ ადგილებს ამ წერილიდან:

„დიდი მოხელეები უნდა მოერიდნენ უთავბოლო ხარჯების გაწევას. ბილეთ თუნდ ავტომობილებით და ეტლებით ან ცალკე ვაგონით სარგებლობა. მინისტრი ან რომელიმე დიდი მოხელე რომ სარგებლობს ავტომობილით, როცა ის სახელმწიფოს საქმეს აკეთებს.

მობილს იბარებს, როცა ავტომობილით დასეირნობენ ქალები და ბავშვები, როცა ყოველ მოხელეს ყავს ავტომობილი—ეს არ არის სახელმწიფოებრივი საქმე და დემოკრატიული საქმიანობა. შეხედეთ მთავრობის თავმჯდომარეს, მიაქციეთ ყურადღება მის სადა ჩაცმულობას—ეს ხომ ყველაზე დიდი პირია რესპუბლიკაში, მაგრამ ისე სადად ცხოვრობს.

სამწუხაროთ ყველანი ასე არ იქცევიან. ჩვენ გვახსოვს, მაგალითად, რომ როცა სახადი იყო მოდებული მთელ ქალაქში და გადასაყვან საშუალებათა ნაკლებობის გამო ავადმყოფებისათვის რიგი იყო შემოღებული, ამ დროს ბევრი თანამდებობის პირი ავტომობილით დაქროლავდა''.

კ. ყრილე ნინიძეს წერილი კიდევ ბლომა ნიმუშებს იძლევა ოფიციალურ მენშევიზმის ,,სახელმწიფო მოღვაწეობიდან“. რაც შეეხება ოპოზიციურ ჯგუფის დაარსებას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ავტორის სიტყვით, ,,ერთობის“ წერილები ამ მოვლენის დაფასებაშიაც დაშორებული არიან სინამდვილეს:

,,სიცრუეა ის, თითქოს ,,სხიველები“ მას აქეთ შემთხვევას არ უშვებენ ფრაქციაში წამოაყენონ თქვენი წყალობით ცოტას ვიღებთო. მხოლოდ მედუქნეს, მეწვრილმანეს შეუძლია ასეთი რამ დააბრალოს ჩვენს ჯგუფს, რომ ამით სახელი გაუტეხოს მას ხალხის თვალში. დათიაშვილის განზრახვა აშკარაა: მას სურს დაარწმუნოს მკითხველები იმაში, რომ ჩვენი ოპოზიცია წარმოიშვა მხოლოდ პირადი უკმაყოფილების ნიადაგზე, ვითომ ჩვენს ოპოზიციას ამოძრავებს ჭამის საკითხი. ზ. დათიაშვილო! თქვენ მიერ ათვალწუნებული ოპოზიციის ბევრი წევრი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი კომისიის თავმჯდომარე და ფრაქციის ბიუროს წევრია. და თუ ფრაქცია ისე დაეცა, რომ ეს ჭამას დეპუტატები წარგზავნა ასეთ პასუხსაგებ ადგილებზე, როგორ მოხდა, რომ თქვენმა მეგობარმა ზ. გურულმა ერთხელაც არ აღიმაღლა ხმა ამ სისაძაგლის წინააღმდეგ? მე თქვენ გეკითხებით: არის თუ არა უღირსი ის, ვინც ხმას არ იმაღლებს უღირსობის წინააღმდეგ. მაგრამ რა უნდა ველაპარაკო ღირსება-უღირსობის შესახებ ისეთ ადამიანს, რომელიც განზრახ, საჯაროთ პრესის საშუალებით სტყუის. „ერთობის“ რედაქციამაც იცის, რომ ზ. დათიაშვილი სტყუის, მაგრამ ისიც არას ეუბნება მკითხველს და ამიტომ ჩვენ თვითონ ვეტყვით, თუ რომელი საკითხის გარშემო წარმოიშვა ფრაქციაში ოპოზიცია, რომელ ოპოზიციის წარმოშობამ მიგვიყვანა ,,ახალი სხივის'' გამოცემამდე. მე უკვე მოვიხსენიე ,,თვრამეტი'' რომელმაც უნდობლობის ხმა მისცა სამინისტროების უმრავლესობას, როცა მოხსენებები იქნა გაკეთებული ფრაქციაში. მოვიგონოთ ზოგი სხვა, კოჯრის აგარაკის გაცემის თაობაზე მიწათმოქმედების სამინისტროს უარყოფითი ხასიათის დადგენილება გამოუტანა ფრაქციის უმრავლესობამ, რაც მოხდა უმთავრესად

დღეს

ბოლშევიკური ცნობით წითელმა ლაშქარმა სიმფეროპოლი და ფეოდოსია აიღო.

ლიონის ცნობით ვრანგელის მთავრობა ყირიმს სტოვებს.

რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკება ნოემბრის 13 განახლდა.

საფრანგეთი და ინგლისი ცდილობს გერმანია ერთა ლიგის მახლობელ სესიაში არ მოხვდეს·

სომხეთ-ოსმალეთის ფრონტზე ომი გრძელდება.

წერილები.

მეთაური: სატრანზიტო გადასახადი.
პრესა.
დოცემუს: სოციალ-დემოკრატების პრინციპები და საქმიანობა.
გ. ჯვაზავა: ერთა ლიგა
მადლი: ტეტები.
ჩვენი კორესპონდენტები: ცხინვალი.

ღრმად დამწუხრებულ მამა მთილი სპირიდონი ზალიკაშ-ძე, მაზლები ილიკო, მალაქია, რამანა სპირდონის ძენი საგანელიძენი, რძლები ეკატერინე გიორგის ასული ნადია დავითის ასული შვილებით, შალიკო ქეთევანი, რუსუდანი საგანელიძეები: მულები ეფროსინე სპირდონის ასული, ნადია სპირდონის ასული, შვილებით თამარი მარიამი სვიმონის ასულები ზაქარეიშვილები აგრაფინა სპირდონის ასული; სიძე სილიბისტრო ლუკას ძე ალხაზაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი რძლის

ეკატერინე (კონია) ფარნაოზის ასული

საგანელიძესი

1—1 3281

ღრმად დამწუხარებული მეუღლე ვასილი სპირდონიძე საგანელიძე, შვილები ნინო გიორგი და გედევანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მეუღლის

ეკატერინე (კონია) ფარნაოზის ასული

საგანელიძისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათ. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 18 ნოემბერს დილის 10 საათ. საკუთარი ბინიდან თავისუფლების ქ. № 1 დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში.

1—1 3281

რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე
მთავარი კომიტეტის სხდომა

დანიშნულია ხუთშაბათს, **18 ნოემბერს**, საღამოს სრულ **7** საათზე, ქალაქის თვითმართველობის სხდომის დარბაზში. კომიტეტის სრულ შემადგენლობას აუცილებლად უნდა დაესწროს, კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციისა და დაწესებულებათა წარმომადგენელთ.

რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში წვლილის შეტანით ვინც დაინტერესებულია—ყველას შეუძლია კრებას დაესწროს.

ამასთანავე რესპუბლიკის პროვინციის ყველა კომიტეტებმა უნდა მოახდინოს კრებები და სადაც არ არის უნდა შეადგინოს ახალი კომიტეტები. დირექტივებს მიიღებენ ცენტრიდან.

კომიტეტის პრეზიდიუმი.

3282. 1.

დიდი დავი-დარაბა გამოიწვია მიწათმოქმედების მინისტრის განცხადებამ კანონის „მოდრეკის" თაობაზე, რომელი მოდრეკაც ოპოზიციას დაუშვებლად მიაჩნდა. ამას რა მოყვა თქვენ თითონ იცით. დღესაც ოპოზიციამ დააყენა პირველად საკითხი ჩხიკვიშვილის ურატაქტიკის შესახებ და თუ არ ვცდები ფრაქციამ გაიზიარა ოპოზიციის დემულები. იყო სხვა შემთხვევებიც. და [illegible] გორ [illegible] ვ ჯერო, რომ ეს არ იცოდის ზ. დათიაშვილმა და თუ დათიაშვილმა ეს განზრახ დაფარა და ცილი დაგვწამა, „ერთობა" რატომ არ ასწორებს მისი „თანამშრომლის" ამ ულირს მოქმედებას.

სწორედ ეს იწვევს განცვიფრებას, რომ „ერთობა" იქცევა ასე, თორემ ზ. დათიაშვილს ბევრი არაფერი მოეთხოვება: დათიაშვილი ალბათ სამოთხის ფრინველია, რომელიც როცა ღმერთს ადიდებს, თავდავიწყებას ეძლევა".

ჩვენ ქართველი ხალხის ყურადღება მივაქციოთ იმ უთავბოლო და უმეცარ პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებდნენ ზოგიერთი უწყებანი და მოვითხოვეთ მთელი მთავრობის შეცვლა და გადადგომა.

ჩვენი მთავრობა კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპზეა აგებული და ამა თუ იმ უწყების მოქმედებაზე პასუხს აგებს მთელი კაბინეთი, პოლიტიკურად და მორალურად. როდესაც მთელი ქვეყანა ჰგმობს ამა თუ იმ მინისტრს და მის უწყებას და თავის აღშფოთებას არგუმენტებით ამაგრებს,—კაბინეთი დასაშლელია! კულტურული სახელმწიფოები ამის მაგალითს ათასობით გვაძლევს...

მაგრამ როგორ გინდა კულტურულ გზას დაადგე, როდესაც პოლიტიკური კურსის მაჩვენებლად „სახალხო საქმის" აყანჩავანები გამოდიან! ეს მყვირალა და უხალხო აგიტატორები ფრაზების მანიას შეუპყრავს! დიდი რიხის ადამიანების თავმოყრაა „ტრაპიზონის გმირების" რედაქციაში: ისინი ყველას ჭკუას ასწავლიან, ნოტაციას უკითხავენ და იმას [illegible]

მოწაფენი და შეჰყრნენ...

მთავრობის რეკონსტრუქციის საკითხზე „სახალხო საქმის" დაუღალავი პოლემისტები „ერთობის" მაჩანჩალობას ეწევიან, ხოლო იმ განსხვავებით კი, რომ რამდენადაც სოციალ დემოკრატების გაზეთი არსებითად გვპასუხებს, იმდენად მის მაჩანჩალა სოც.-ფედერალისტების ფურცელი ყოვლად უმწეო აზრების დემონსტრაციას აკეთებს.

„სახალხო საქმე"-ს, თავის თავად ცხადია, არსებითად საპასუხოც არაფერი აქვს. ის იმითაც დაკმაყოფილებულა და მეტად გახარებულა, წინააღმდეგობაში რომ „დაუჭერია" ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. თურმე ნუ იტყვით, ეროვნულ-დემოკრატებს დამფუძნებელ კრების 5 გიორგობისთვის სხდომაზე ხმა მიუციათ სოციალ-დემოკრატების რეზოლუციისათვის და სავსებით მოუწონებიათ მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებული ზომები (კურსივი ჩვენია), ხოლო იმავე გიორგობისთვის 13-ის თარიღით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო" სახელმძღვანელო წერილში მთავრობის გადადგომას მოითხოვდა... რა არის აქ უცნაური,—ვკითხოთ „სახალხო საქმის" მეტიჩარა მწერლებს? განა იმავე სხდომაზე თვით სოციალ-დემოკრატებმა ხმა არ მისცეს თავის მიერ წარდგენილსავე რეზოლიუციის და განა თვითონ ეს სოციალ-დემოკრატები არ ახდენენ დღეს მთავრობის რეკონსტრუქციას?!

„შემთხვევით შეყრილ ხალხის საქმიანობა" სჯობია სისტემატიურად აბუზავებულ პოლიტიკურ კრეტინიზმს!..

სოციალ-დემოკრატების პრინციპები და საქმიანობა.

„ს. დევდარიანი დიდი ხანია ეკამათება „ახალ სხივს", მაგრამ ეტყობა მოღლილა და აცხადებს: „დროა დაისვას წერტილი და გამოინახოს ისეთი საშუალება, რომელიც აამაღლებს პარტი-

საშუალებად მას მიაჩნია „შეთანხმება" და ახალი სხივის" რედაქციის ლიკვიდაცია.

რა საფუძვლით მოითხოვს დევდარიანი „ახალ სხივის" ლიკვიდაციას? ის ადასტურებს, რომ სოციალ დემოკრატიულ ოპოზიციასა და მმართველი სოციალდემოკრატიის შორის პრინციპიული უთანხმოება არ არის, ორივე მხარეზე წმინდა სოციალისტები, მარქსისტები არიან და „ახალ სხიველების" ოპოზიცია მხოლოდ „ზოგიერთი მოხელეების მხილებით" ამოიწურება,—„ახალ სხივში" ფიქრობენ, სწერს დევდარიანი: რომ ამასრულებლები არ ვარგანან და იმიტომ ვერ ვატარებთ, რის გატარებაც გვინდაო".

თვითონ ბ. დევდარიანი კი ფიქრობს „რომ დღევანდელ საზოგადო პირობებში ძნელია იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც მმართველი პარტია აწარმოებს და ამიტომ არ გვივარგან აღმასრულებლებიც... ჩვენი პოლიტიკა სოციალისტურია, სინამდვილე კი ჯერ ისევ ბურჟუაზიულ საძირკველზე დგას".

მეტად საყურადღებოა ეს აღსარება-სინამდვილე ბურჟუაზიულ საძირკველზე დგას და ბურჟუაზიულ პოლიტიკას მოითხოვს, და ჩვენი მენშევიკები დაჟინებით სოციალიზმს ებღაუჭებიან. „მართვა-გამგეობის სათავეში დიდი ხანია დამდგარა მუშათა პარტია, მუშათა კლასი და საზოგადოთ მშრომელი ხალხი კი ეკონომიურათ უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე იყო რევოლიუციამდე, და ეს მდგომარეობა არ შეიცვლება მარტო პირების გამოცვლით", მაგრამ მენშევიკები მაინც თავისი სოციალისტური ექსპერიმენტებით ქვეყანას ანადგურებენ.

რატომ არის ეს ასე?

ამისი პასუხი ჩვენ სოციალ-დემოკრატებს მისცა ჰუისმანსმა: „ჩვენ შეგვეძლო ძველი მთავრობა გადაგვეგდო, ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელთ ავეღოთ სოციალისტებს, მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით, რადგან ეს იქნებოდა ქვეყნის დაღუპვაო". ამის მეტის თქმა არ შეეძლო ბელგიის სოციალისტების წარმომადგენელს. ეს იმას ჰნიშნავდა, რომ დღეს-დღეობით სოციალიზმის ცხოვრებაში გატარებაზე ფიქრიც არ შეიძლება ევროპაში. დღეს ბურჟუაზიული განწყობილება და ეკონომიკა მეფობს. და ამ ბურჟუაზიულ ეკონომიკის და პოლიტიკის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს ბურჟუაზიულ პარტიას. და თუ ევროპაში არ შეიძლება სოციალიზმის ცხოვრებაში გატარება და ჩვენში ხომ მით უმეტეს!

ევროპაში მილიონობითაც ითვლება სოციალიზმის ერთგული აღმასრულებელი ჯარი—კლასიურად დაინტერესებული პროლეტარიატი. ჩვენში კი ამ სახის პროლეტარები სანთლით საძებნელია და ყოველ შემთხვევაში ერის სრულიად უმნიშვნელო მცირე რამ ნაწილს შეადგენს. როგორ შეიძლება, რომ ეს პატარა ჯგუფი გაუძღვეს მთელ ერს და გაატაროს ცხოვრებაში ის სოციალიზმი რომელიც ერს არ უნდა და ქვეყანაზე არავის სწამს?

„მდგომარეობა არ შეიცვლება პირების გამოცვლით", სწერს ბ. დევდარიანი. მართალია, მაგრამ ის ან უმალავს თავის თავს ამის მიზეზს, ან არ იცის, რაშია მიზეზი. საქმე იმაშია, რომ მართვა-გამგეობის სათავეში საქმის კაცები უნდა იდგნენ, სოციალისტები კი აქამდე უსაქმურები ყოფილან და სამწუხაროდ დღესაც უსაქმურები არიან; თავის სიცოცხლეში ქაქანის მეტი არა გაუკეთებიათ რა,—აგიტაცია და პროპაგანდა. ჩვენი მენშევიკები ტრაბახობენ: ჩვენ საუცხოვო ორგანიზატორები ვართო. მართალია, მაგრამ რისი ორგანიზატორები? ჩვენც კარგათ ვიცით, რომ ისინი საუცხოვო ორგანიზატორები არიან პროპაგანდისა და აგიტაციის, მაგრამ სახელმწიფოს აშენებისათვის ეს სრულებით არ კმარა; მათ ავიწყდებათ ან არ იციან, რომ სახელმწიფო პარტიეტაგი კი არ არის, რეიხსტაგია.

ილლუსტრაცია რამდენიც გნებავთ: ავიღოთ თუნდ მომარაგების სამინისტრო. ამბობენ, რომ ერაძე პატიოსანი კაციაო. შეიძლება, რომ ცამდის პატიოსანი იყოს, მაგრამ პურის მომარაგება მაინც ვერ მოახერხა, ყოველი მაწანწალა და ჩარჩი ატყუებს. დაიბარეთ, რომელიც გნებავთ პატიოსანი და ამგვარ საქმეში გამოცდილი პირი, კომერსანტი, მრეწველი და მიანდეთ პურის მომარაგება, და ის ხელათ დაამზადებს იმდენს პურს, რამდენის დამზადებაც შესაძლოა ჩვენს ქვეყანაში; ვერც ერთი მაწანწალა და გაიძვერა იმას ვერ მოატყუებს. ვერ მოატყუებს იმიტომ, რომ ის საქმის კაცია და არა ლაქლაქის, ის გამოცდილია, და შორიდან იცნობს უსაქმურ კაცს და საქმეში მალე დაიჭერს ქურდსა და მატყუარასაც. ჩვენი მენშევიკები დიდი ხანია ეძებენ ერაძის მაგიერს, მაგრამ ვერ უპოვიათ თავის პარტიაში, და სხვა პარტიის კაცს კი ახლოსაც არ იკარებენ.

მდგომარეობა არ შეიცვლება მარტო პირების გამოცვლითო. მართალია, სოციალიზმის ცხოვრებაში გატარება შეუწყნარებელია ეხლანდელ პირობებში, და შეუძლებელი, ბურჟუაზიული პოლიტიკის წარმოება კი სოციალისტებს არ შეუძლიათ ეს იქნება თავის რწმენის ღალატი მათი მარწმუნებელ მუშათა კლასის წინაშე. მოღალატეს მარწმუნებელი აღარ ენდობა. და სოციალი-

ან გამომწყვდეული,—ერთის მხრივ ჰხედავენ ბურჟუაზიულ პოლიტიკის აუცილებელ საჭიროებას და მეორეს მხრივ ეშინიათ მუშათა კლასის ნდობის დაკარგვის.

დოცემუს.

დეპეშები.

ს. დ. ს. საინფ. განყ. ცნობები.

არეულობა იაპონიაში.

მოსკოვი. იზვესტია იუწყება: თანახმად ტოკიოდან მოსულ ცნობისა იაპონიის ზოგიერთ გარნიზონებში მღელვარება ხდებაო. ოსაკის რაიონში ჯარის კაცების დასამშვიდებლად იარაღს მიმართეს.

ამერიკა და რუსეთი.

თანახმად „დეილი ტელეგრაფ-ის" ცნობისა ამერიკელებმა საბჭოთა რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულება აღადგინეს კონსტანტინოპოლში მყოფმა ამერიკის საგარეო ვაჭრობის საზოგადოებამ ბოლშევიკებთან ნოვოროსიისკში ხელშეკრულება დასდეს ნავთის მიწოდების შესახებ.

ამერიკის მილიტარიზაცია.

ამერიკის მთავარი შტაბი ამუშავებს პროექტს ამერიკის ლაშქარის 7 მილ. კაცამდე გადიდების შესახებ. ამიტომ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება არის მოსალოდნელი. ეს ცნობები ოფიციალურ წყაროებიდან გამომდინარეობენ.

უელსის აზრი ბოლშევიკების შესახებ.

ლონდონი. მწერალმა უელსმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა საბჭოთა რუსეთიდან, პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მისი აზრით, რუსეთს ამ მოკლე ხანში სრული ეკონომიური განადგურება მოელის.

მდგომარეობა ანატოლიაში.

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთის პრესა იუწყება: ანატოლიაში პირველი სიცივეები დაიწყო. პროვინციებში პურის კრიზისია. ანგორის ვილაიეთში ამის გამო ბინის კრიზისიც არის. ანგორის მთავრობას უკავია სასტუმროები, კერძო პირების დიდი ბინები, სკოლები და სხვ. ქემალმა სამოქალაქო ადმინისტრაცია მოაწყო. ყოველი ოლქი სანჯაკათ გადაკეთდა· მათ განაგებს დივიზიების სარდლები აღჭურვილი განუსაზღვრელ უფლებებით. არა მუსულმანები გაიწვიეს იძულებით სამუშევაოდ რკინის გზებზე. დიდი ეროვნული ყრილობა 2 ბანაკად გაიყო: ექსტრემისტებათ, რომლებიც მოითხოვენ ბოლშევიკებთან კავშირს და ზომიერებათ, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ არიან. ამ ორ ბანაკს შორის მტრული განწყობილებაა.—

ყირიმის ფრონტი.

მოსკოვი, (ცნობები. 15|11 უკანასკნელ კვირაში წითელმა ჯარმა გასწმინდა ყირიმის გამაგრებული ყელი ვრანგელის ბანდიდან და ახლა თვით ყირიმის სიმაგრის მიმართულებით მიიმართება. რუსეთის თეთრგვარდიელთა რაზმები რომლებიც ყირიმის ნახევარ კუნძულზე დარჩენ, უნდა განადგურდენ. დიდმა გამარჯვებამ არ უნდა შეანელოს ჩვენი ენერგია. პირიქით, ჩვენი შეტევა ახლა უნდა გავაფართოვოთ.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 15|11 ლიტვინის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი შეტევას კარგათ აწარმოებს. პროსკუროვის მიმართულებით 60 ვერსის გასწვრივ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. კამენეც პოდოლის მიმართულებით ნივოუშიცის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა მდინარე უშიცას მიაღწიეს, სიმფეროპოლის მიმართულებით თანახმად მიღებულ ცნობებისა ჩვენს ჯარებს სიმფეროპოლი აუღიათ. ფეოდოსიის მიმართულებით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ ენერგიულ შეტევას, სადგურ სეიკლერის აღების დროს ჩვენ დიდი ძალი ნადავლი ჩავიგდეთ ხელში.

ფეოდოსიის აღება.

დამატებითი ცნობა სამხედრო. 25—11. თანახმად დამატებითი ცნობებისა ყირიმის ნახევარ კუნძულზე ნოემბრის 13 ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა აიღო ფეოდოსია, სადაც ხელთ იგდო დიდ ძალი სამხედრო ნადავლი. მოწინააღმდეგის ჯარებში სრული დემორალიზაცია არის გამეფებული და იწყებს რა თავზარდაცემული ძარცვას მცხოვრებლებს. დაუღალავი დევნა ვრანგელისა გრძელდება თანახმად ჩვენ მხარეზე გადმოფრენილ ვრანგელის მფრინავის ცნობებისა გენ. ვრანგელის ჯარი დაშლილად გამოცხადებულია, ამასთანავე ყოველ ჯარისკაცს უფლება ეძლევა დანებდეს წითელ ჯარს სამოწყალოდ ნოემბრის 13 მტრის უმაღლესი სარდლობა იმყოფებოდა სევასტოპოლში, მას განზრახვა ჰქონდა ყირიმიდან გასვლისა. ძვირფას ქონებას გემებზე ტვირთავდენ·

მოსკოვი. 16—11 ლიტვინოვი: წითელმა ჯარმა დაიკავა სიმფეროპოლი და ფეოდოსია. ვრანგელმა გაუშვა ბანდები და თვითონ კი გარბის, ვრანგელის დაღუპვის შემდეგ უნდა დაიღუპოს პეტლიურა და ბალახოვიჩი, ჩვენმა ჯარმა დაიკავა გული ყირიმისა სიმფეროპოლი. შორს აღარ არის ვრანგელის უკანასკნელი თავშესაფარი ნავსადგური

იტალია და სამხრეთ-სლავია.

რაპალლო. 12 ნოემბერი. იტალიის დელეგატებმა—ჯიოლიტიმ, სფორცამ, ბონომმა და სამხრეთ სლავიის დელეგატებმა—ვესნიჩმა, ტრუმბიჩმა და კოსტრიჩმა ხელი მოაწერეს ხუთი მუხლისაგან შემდგარ ხელშეკრულებას. პირველი მუხლი აწესებს საზღვრებს იტალიასა და სამხრეთ-სლავიის შორის; ეს საზღვარი იწყება პეკ მონტეს მთიდან და ტანის, იტალიის, ავსტრიისა და სამხრეთ სლავიის საზღვრებს შორის. მე-4 მუხლი ამყარებს ფიუმეს სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას...

იტალიის სასწავლებელთა დიპლომები სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ აღიარებულია თანასწორად სამხრეთ-სლავიის სასწავლებელთა მიერ გაცემულ დიპლომებთან.

გერმანია და ანტანტა.

ლიონი. 16 ნოემბ. (რადიო) საფრანგეთის პრესა იუწყება: ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდენ იმაზე, რომ გერმანია არ დაუშვან ერთა ლიგის მიმდინარე სესიაში.

დანუნციოს მთავრობა.

ლიონი. 16—11. დანუნციოს მთავრობამ, რომელიც ფიუმეში იმყოფება სავსებით მიიღო იტალიისა და სამხრეთ სლავიის წარმომადგენელთა მიერ დადებული ხელშეკრულება.

ვრანგელის ფრონტი.

გენ. ვრანგელი სევასტოპოლში მივიდა. გამოურკვეულია რომ წითელ არმიელების მიერ ფრონტის გარღვევის მიზეზი ყოფილა ვრანგელის ჯარში მომხდარი აჯანყებანი.

რუსეთის ცნობები.

ინგლისი და ვრანგელი.

ინგლისური გაზეთები სწერენ, რომ შავ ზღვაში ინგლისის გემების ყოფნა სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ინგლისს ვრანგელის დახმარება სურდეს. ინგლისის საადმირალომ ხმელთა შუა ზღვის ფლოტის მთავარ სარდალს უბრძანა, რათა მან სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას.

ბალახოვიჩის მოძრაობა.

როგორც სჩანს ბალახოვიჩმა ხელი აიღო მინსკის აღებაზე და მთელი თავისი სამხედრო ძალები სამხრეთის მიმართულებით გადაიყვანა, იმ მიზნით, რომ უკრაინელ ჯარს შეუერთდეს. ვინ არის ბალახოვიჩი? ყოფილ იუსტიციის მინისტრის კედრინის აზრით ბალახოვიჩი ავანტიურისტი არის. იუდენიჩის მიერ დაკავებულ ადგილებში ის სასტიკ ძალადობას სჩადიოდა, მაშინ იუდენიჩს მისი დატუსაღება უნდოდა.

აჯანყება მექსიკაში.

მექსიკაში ნავთსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მექსიკის კომუნისტები მუშებს საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

ბრძოლა იტალიაში

იტალიის ბევრ ქალაქში შავ რაზმელთა და სოციალისტების შორის შეტაკებები ხდება, ქალაქ. ვერონში საერთო გაფიცვა დაიწყო.

საზავო მოლაპარაკება.

მოსკოვი. 16 11. ნოემბრის 13, რიგაში დაიწყო მოლაპარაკება პოლონეთთან საბოლოო ზავის შეკვრის შესახებ. ამ იოფემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა რუსეთის საზიანოთ შეიცვალაო. პოლონეთის სარდლობამ რამოდენიმეჯერ დაარღვია საზავო პირობები, პოლონეთის ჯარები ჯერ კიდევ არ არიან გაყვანილნი რუსეთის ტერიტორიიდან. პოლონეთის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო პეტლიურასთან და უკრაინის ვიღაც მთავრობის მეთაურთან. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ უპასუხა იოფეს ამ შენიშვნებზე და განაცხადა, რომ პოლონეთის საზოგადოება რუსეთთან ომს დასრულებულად სთვლის. რაც შეეხება პეტლიურას და ბალახოვიჩის რაზმებს, პოლონეთს არ შეუძლიათ მათი განიარაღება, ვინაიდგან ისინი პოლონეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან, გ. დომბსკის დაღლილობის გამო პირველი სხდომა რომელზედაც ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალით პოლონეთი ვალდებულია გაიყვანოს თავისი ჯარები რუსეთის ტერიტორიიდან.

ლიონის ცნობები

ყირიმის ფრონტი.

წითელ არმიაში, რომელიც პერეკოპს უტევდა, შედიოდა 27 დივიზია და ძლიერი არტილერია იმ დროს როდესაც გენ. ვრანგელს მხოლოდ 3 დივიზია ყავდა, რომელიც გმირულ იბრძოდა და მტრის იერიშებს იგერიებდა. ნოემბრის 11, დაიწყო ყირიმის ევაკუაცია საფრანგეთის სამხედრო გემების „ვალდეკ-რუსოს" და „პროვანსის" და რუსეთის ნავების დახმარებით.

ნიუ-იორკში ზეიმით გადაიხადეს საფრანგეთის 50 წლისთავი. გამართულ ბანკეტში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ვეტერანებმა და ამერიკის გამოჩენილმა პირებმა, რომლებმაც ღრმა თანაგრძნობა გამოსთქვეს საფრანგეთის მიმართ

[illegible]

ერთა ლიგის [illegible] დგა ჟენევაში. ლორდ ბ წარმომადგენამ მოხსენება იმას შ თუ რა გააკეთა ფინანსურ-ეკონ კომისიის შესახებ, რომლის შ ჯერ კიდევ ბრიუსელში იყო გად ტილი. იაპონიის წარმომადგენელმა ვისუფალ ქალაქ დანციგის შესახებ ხსნება წაიკითხა. ამ საკითხის ხებ გადაწყვეტილების გამოტანა ჰომ დროებით გადაიდო.

„ჰავას" ცნობები.

შრომისა და კაპიტალის შერიგება.

რომი. კაპიტალისტებსა და მუ შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების დეგ, რომელშიდაც აქტიური მონ ლეობა მიიღო ჯიოლიტიმ,—მოხდა ს ლი შეთანხმება. მუშაობა ყველგან ნახლდა და იტალიის ეკონომიური კრება ანორმალურ კლაპიტში ჩა

მდგომარეობა ციმბირში.

ლონდონი. ინგლისური პრესის ბით ციმბირში ბოლშევიკების გა თანდათან ნიადაგი ეცლება. რამოდენიმე მთავრობა, რომელნიც ტიურ ბრძოლას აწარმოებენ საბ მთავრობის რეჟიმის წინააღმდეგ.

ახალი ღმერთი.

პრაგა. მოსკოვის ორკვირეული ნალი „საბჭოთა ძალა" სწერს: წლის წინად, კაცობრიობის ღმერთმა გენიალურმა ლენინმა, გვიჩ ახალი გზა სოციალიზმის სამეფოსა

საბჭოთა რუსეთში.

რევოლიუციის მონაპოვარი.

პოლონური გაზ. „რობოტნიკ" „ბოლშევიკური პრესა არ უარყოფ ფაქტს, რომ საბჭოთა რუსეთში მუშ პოტენზიები უფრო მეტის სიწ აშკარავდება, ვიდრე ეს იყო ძველ წყობილების დროს. ერთი თვის გან ლობაში პეტერბურგის ქ. მუნიციპ ნებში მოხდა 267 გაფიცვა.

ბოლშევიკი კომისრები იძულებ მეიქნენ მიემართათ რეპრესიებისა მუშების მოთხოვნილებას საზღვარი უჩნს. მუშები უკმაყოფილონი არ ოოგორც სამუშაო დღის გადიდებ ისე ხელფასის სიმცირით.

შრომის ბეგარამ სავსებით დაუკ რუსეთის მუშათა კლასს სოციალისტ განწყობილებისადმი ნდობა".

საბჭოთა რუსეთის შუამდგომლობა სომხეთსა და ოსმალეთის ნაციონალისტებს შორის.

ნოემბრის 11-ს, საბჭოთა რუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიჩერინ რადიოთი მიმართა ოსმალეთის ნაც ნალურ მთავრობასა და სარდლობას, სომხეთის მთავრობას, რომ თანახ მოსკოვში მყოფი ანგორის მთავრო წარმომადგენელთან შეთანხმებისა, ბჭოთა რუსეთის მთავრობა კისრულობ შუამდგომლობას სომხეთ-ოსმალეთის რის და ამ მიზნით ოსმალეთის ერ ნულ მთავრობასთან მოსალაპარაკებლ აგზავნის ამხ. მდივანს. საბჭოთა რუ თის მთავრობას იმედი აქვს, რომ სო ხეთ-ოსმალეთის ომი შეწყდება.

(რ. ს. ფ. ს. რ. ცნ.)

ბათომის ოლქის წარმომადგენელი ანგორაში.

ბაქოს გაზ. „კომუნისტის" ცნ ანგორის ეროვნულ კრებაზე იმყოფ ბათომის ოლქის წარმომადგენელი ალ რიზა ბეი.

ბათომი და ანგორა

ლონდონის „ტაიმსი" მოყავს ცნ კონსტანტინოპოლის კორესპონდენტის თითქოს გაზეთ „ილერის" დაიბეჭდ ცნობა, რომლის მიხედვით ოსმალოს ციონალისტები ფიქრობენ გალაშქრ ბათომის მიმართულებით და თით ჩვენი რეგულიარული და არა რეგუ რული ნაწილები უკვე მივიდნენ ტ პიზონიდან ხოპაში.

ჩვენ მუდამ ვამტკიცებდით და ეხ ვიმეორებთ, რომ ჩვენს ოპერაციებს ა მოსავლეთში არა აქვთ სხვა მიზანი რდა თავდაცვისა და დაწყებულია ი ლებით, რათა ხელი შეუშალოთ ს ხებს დაიკავონ ჩვენი მიწა წყალი უზრუნველვყოთ მაჰმადიანთა სიცოცხ რომელთა მდგომარეობა თან და თ აუტანელი ხდებოდა.

ჩვენ ვაცხადებთ კიდევ ერთხელ, რო მთავრობას ანგორის დიდი ეროვნულ კრებისას სურს მუდამ ჰქონდეს კეთილ განწყობილება ყველა თავის მეზობლ თან, მათ შორის სომხებთანაც კი.

„ტაიმსის" ცნობის მიზანი არის მოიწვიოს უთანხმოება ჩვენთან ყოვე მხრივ.

„ტაიმსი" და ინგლისელები აცხად ენ ასეთ ამბებს, რომ დააშინონ საზ გადოებრივი აზრი საქართველოსი აამხედრონ ჩვენ წინაღმდეგ.

მაგრამ დამოკიდებულება საქართ ლოსი და ანატოლიისა ძალიან მეგო რულია და არაა არავითარი მიზეზ რომ გაამართლოს ინგლისის ასეთი მ გმები.

ჩვენ უარყოფთ კატეგორიულად ინგ სურ ცნობას.

8 ნოემბერი 1920 წ.

(ანგორის ცნობა).

ბაქოში.

ქემალისტები და ბოლშევიკები.

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ჯებრაილის მაზრის კონფერენციამ სომხეთ-ოსმალეთის ომის შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„აზერბეიჯანში საბჭოთა მდგომარეობის სამუდამოდ გასაუმჯობესებლად და ამიერ-კავკასიაში ბურჟუაზიის თარეშის აღმოსაფხვრელად, და წითელ ანატოლიასთან ორგანიული კავშირის შესაკვრელად კონფერენცია აუცილებელ საჭიროებად სთვლის მომხეთსა და საქართველოში საბჭოთა მართველობის სისტემის შემოღებას".

სომხეთ-ოსმალეთის ომი.

სომხეთის მთავარსარდლის სამხედრო ცნობა ნოემბრის 14: ჯაჯურის მიმართულებით ნოემ. 13 საღამოთი მტერმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს სოფ. კანახ კრანის ჩრდილო აღმოსავლეთით. ჩვენი ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევს. სოფ. პატარა კაშატაკში ნოემ. 13 ხელთ ვიგდეთ ორი ოსმალთ მხედარი ოსმალეთის მე 9 დივიზიის შტაბიდან. სობუთლინის მიმართულებით ნოემბრ. 12 დილის 11 საათზე ჩვენ ქვეითა ჯარის ხუთი ბათალიონით შეტევა დავიწყეთ სოფ. ხარუმ კადატარუ-ცხარუმ შარლის მოწინავე ნაწილებზე. ნოემ. 13 ჩვენ გამოვდენეთ მტრის მზვერავები სოფ. კირიხიდან. გაგზავნილმა ჩვენმა მზვერავებმა სოფ. ხარუმში მტერი ვერ აღმოაჩინეს.

არაქსის ნაპირას მარქანის ხიდის რაიონში ნოემ. 14 გათენებისას მტერი ტყვიისმფრქვეველებიდან და თოფებიდან ესროდა ჩვენს პოზიციებს რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა. ნოემ. 14. გათენებისას მრურში ბრძოლა იყო. ბასარ-გეჩარში ნოემ. 12 ზოდის გადასავალზე ჩვენ მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ მოსტარის ქვეითა და ცხენოსან პარტიზანების რაზმთან. 6 საათის ბრძოლის შემდეგ თათრები დიდი დანაკლისით უკუ ვაგდეთ სოფ. დემურ ჩამჩტისაკენ.

ჯაჯურის მიმართულებით ნოემ. 14, მტრის ძლიერი ძალების შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს ჯაჯურის გადასავალი და ნოემ. 14 საღამოთი სოფ. ამამლისაკენ დაიხიეს.

არაურის მიმართულებით ნოემ. 14, ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა შეუტია ნაწილობრივ სოფ. კუში-დემურნას, ორტულუს და ტაზეკენდს. ჩვენ რაზმს უნდოდა გამოერკვია მტრის ძალა და ის, თუ სად იყო იგი დაბანაკებული ბრძოლის დროს მტერმა შესძლო სოფ. ორულუ-ტაზაკენტთან აეფეთქებია ჩვენი ჯავშნიან მატარებლის უკანა რკინის გზის ხიდი. დროზე მოსულ ქვეითა ნაწილების დახმარებით მტერი გამოვრეკეთ სოფ. ორულუ ტაზეკენტიდან და ამგვარად ჯავშნიან მატარებელს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა ჩვენი პოზიციების ხაზს.

პარლამენტის ახალი პრეზიდიუმი.

სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულია ოვ. კ ჩაზნუნი, ამხანაგებად სირაჯლვი, ტიგრანინი და ლ. მანტი.

უცხოეთში

საბერძნეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი.

ბერძენ-ოსმალთა შეთანხმების შესაძლებლობის შესახებ

კონსტანტინოპოლის გაზეთი ,,ეტნოსის'' რედაქტორი შეეკითხა საბერძნეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს ბერძენ-ოსმალთა შეთანხმების შესახებ და შემდეგი პასუხი მიიღო:

ვენიზელოსი. თქვენ იცით, რომ მე მუდმივი მომხრე ვარ ოსმალებთან შეთანხმებისა საბერძნეთი სრულებითაც არ ეწევა დაპყრობითი პოლიტიკას. მისი მიზანია დაიხსნას დაჩაგრული ერები. საბერძნეთის მთავრობას ეს არა ერთხელ დაუმტკიცებია და დღესაც ასრულებს ამ მოვალეობას.

პოლიტისი (გარეშე საქმ. მინისტრი) ამ ჟამად ბერძენ ოსმალთა შეთანხმება მე მიმაჩნია უდროულად და უნაყოფოთ. საცილოა ლაპარაკი ბერძენ-ოსმალთა შეთანხმებისა ან დაახლოვების შესახებ ამ დროს როდესაც ინგლისის მცხოვრებნი მსხვერპლნი ხდებიან ძალმომრეობისა.

სოფულისი. (პარლამენტის თავმჯდომარე) ამ ჟამად შეუძლებელია ბერძნებისა და ოსმალების შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი. საბერძნეთს ეხლა არა სჭირია მეგობრობა ოსმალეთისა. სევრის ხელშეკრულობამ ბოლო მოუღო ქრისტიანების შევიწროებას ოსმალეთში. საკითხია მოლოდ შესრულდება თუ არა ეს ხელშეკრულება, რაც შეეხება მუსტაფა ქემალ ფაშას საბერძნეთის ჯარი ადვილად ჰკუა ასწავლოს მას, როგორც კი ამის ნებართვას მიიღებს.

სიმოსი. (მინისტრი) როგორ შეგვიძლიან ჩვენ შევუთანხმდეთ ოსმალებს როდესაც ქემილ ფაშა ანატოლიის ქრისტიანების განადგურებას უპირებს.

კანევრასი. (ეპირის გენ. გუბერნ.) ოსმალებს შეიძლება მოვურიგდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი შეიცნობენ თავის მოვალეობას ქრისტიანებისადმი. ამ ჟამად კი ყოველივე შეთანხმება მათთან ყოვლად უაზრო იქნება, ეს რომ შესაძლებელიც იყოს.

ეროვ. დემოკ. პარტიის მთავარ საორგ. კომიტეტის ცნობები

ს. ვარძია (შორაპნის მაზრა). გვატყობინებენ რომ ოქტომბრის 24-ს. სოფ. ვარძიაში შესდგა ეროვ. დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა კრება, რომელსაც დაესწრო 152 კაცი. მოხსენება გააკეთა პროგრამულ საკითხებზედ გ-ნ გ. ბერაძემ. შემდეგ ილაპარაკა კრების ერთ-ერთმა წევრმა ადგილობრივმა გლეხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღევანდელ უმწეო მდგომარეობიდან გამოსავლელად აუცილებელია ერ. დემ. ორ. მოწყობა და გამაგრება. კრებამ ერთხმად დაადგინა, მოაწყონ ორგანიზაცია. აირჩიეს კომიტეტი რომელშიაც შედიან: 1) შ. ქრო ავალიშვილი (თავმჯდომარე), 2) არ. ჩიჯავაძე (ამხან.) 3) ვარ. დეკანოსიძე (მდივანი), 4) ამო ანთაძე და 5) იას. ნიქაბაძე. კრებამ დაავალა ახლად არჩეულ კომიტეტს დაიჭიროს კავშირი სამაზრო და მთავარ კომიტეტებთან აწარმოოს საორგანიზაციო მუშაობა და გამართოს ხშირად საერთო კრებები, რომლებზედაც მოიწვიონ ქალაქიდან მომხსენებლები.

ახალი ამბები.

სამინისტროებში.

— სახალხო განათლების სამინისტროში. თანახმად სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ბრძანების ალექს. წუწუნავა ნოემბრის 3. რიცხვიდან [illegible] სახელმწიფო თეატრის ოპერის და დრამის დირექტორად დაინიშნა. შკოლის გარეშე განათლების მოწყობის მთავარი ინსტრუქტორად დაინიშნა პეტერბურგის ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორი ვ. კანდელაკი. მთავარ ინსტრუქტორს ევალება მოაწყოს სკოლის გარეშე განათლება მთელ რესპუბლიკაში და უხელმძღვანელოს მას.

სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა საშუალო სკოლების დირექტორებს, და აგრეთვე ქალაქსა და ერობის სკოლებს დაუყონებლივ წარმოადგინონ ცნობები მათდამი რწმუნებულ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობის შესახებ.

— ფინანსთა სამინისტროში. იუსტიციის სამინისტროში გამოიცა ბრძანება რომლის ძალით მობილიზაციით გაწვეულნი მოსამსახურენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გამოცხადდნენ სამხედრო აღრიცხვის უფროსთან. გაწვეულთა მოხელეების მუშაობა დროებით დარჩენილთა შორის უნდა განაწილდეს. უკიდურეს შემთხვევაში განყოფილების უფროსებს ეძლევათ უფლება დროებით მოიწვიონ საზღაურით კერძო პირი, რომელსაც ჯამაგირი გაწვეულთა ჯამაგირის ნაწილისაგან უნდა მიეცეს.

პროექტი სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის 1920-21 წლის გაზმავლობაში. საერთო ვარაუდით ხაზინაში უნდა შემოვიდეს 8 მილიარდი. 600 მილ. მანეთი. შემოსავლის თანხა უნდა განაწილდეს შემდეგ ნაირად: 1) სახელმწიფო მამულებიდან და კაპიტალიდან 4 მილიარდი მანეთი. 2) სახაზინო სესხის დაბრუნებიდან 2 მილიარდი 700 მილ მან; 3) არა პირდაპირ გადასახადებიდან 1 ნახევარი მილ. მან. 4) პირდაპირ გადასახადებიდან [illegible]—201 მილ. მან.; 5) საბაჟო გადასახადისაგან 94 მილ. მან. 6) სახელმწიფო რეგალიებიდან 42.190 000 მან. 7) სხვა წვრილი შემოსავალი 15.000.000 მან.; ამ რიგად ერთ სულზე 585 მან, გადასახადი მოდის.

სხვა და სხვა ამბები.

— ქალაქთა კავშირში. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მორიგის სხდომაზე გაირჩა საკითხი ქალაქისათვის სახელმწიფო ბანკში კრედიტის გახსნის შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: მიეცეს წინადადება აღმასრულებელ კომიტეტს შევიდეს სახელმწიფო ბანკის საბჭოში და გამგეობაში შუამდგომლობით ქალაქების საჭიროებისათვის კრედიტის გახსნის შესახებ. შემდეგ ნ. ელიავამ გააკეთა მოხსენება მიწად მოქმედების სამინისტროს მიერ დამუშავებულ ქალაქში აგრარულ რეფორმის გატარების პროექტის შესახებ, დადგენილია: ჩამორთმეული ადგილები უნდა გადაეცეს განკარგულებისათვის ქალაქის თვითმართველობებს. იმ მიწების ნორმა, რომელიც მესაკუთრეთა ხელში რჩება უნდა დაყვანილ იქნეს ისეთ ნორმამდე, როგორც ეს მთავარ კომიტეტის მიერ 1919 წ. მაისის 6 ს გამოტანილ დადგენილებაში არის აღნიშნული.

— სასურსათო ცხოვრება. ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება სავაჭრო სამრეწველო პალატას აცნობა რომ მის მიერ გამოქვეყნებული ფასები პირველს საჭიროების სხვა და სხვა საქონელზე ხშირად დაწესებულ ნიხრს აღემატებაო. ამის საპასუხოდ სავაჭრო სამრეწველო პალატამ სასურსათო განყოფილებას აცნობა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ფასები თბილისის ბაზრის ფასებს ეთანხმებაო. ამ ფასების გამოქვეყნება სრულიად არ ახდენს გავლენას ფასების მომატებაზე, პალატის მიერ გამოქვეყნებული ფასები პირიქით დიდ დახმარებას უწევს დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომლებსაც ეს ცნობები ესაჭიროება ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ მილიციის უფროსს მიმართა განცხადებით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ თანახმად საბჭოს დადგენილებისა. იმ შეშაზე, რომელიც სოფლებს შემოაქვთ ურმებით არავითარი ნიხრი არ არის დაწესებული. საჭიროა დაუყონებლივ ეცნობოს ეს ყველა კომისარიატებს, რომ აღარ განმეორდეს შემთხვევა ასეთი შეშის განსაზღვრულ ფასში იძულებით გაყიდვის, რასაც ამ უკანასკნელ დღეებში ჰქონდა

— შრომის სამინისტროში. შრომის სამინისტრომ თბილისის რაიონში ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოებას მიმართა წინადადებით, ხანმოკლე დროში წარუდგინოს შრომის სამინისტროს სია საზოგადოების წევრთა მათი ბინადრობისა, მუშებისა, მოსამსახურეთა რიცხვისა და წარმოების დარგის აღნიშვნით.

— დღეს საღამოს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრეში (2 აუდიტ.) სავლე აბულაძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე იოსებ ტფილელი და მისი პოემა ,,დიდ-მოურავიანი''

დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

— ქალაქთა კავშირში. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა საგანგებოდ ფოთი—ქალადიდისა და ნატანების ტყეების საექსპლოატაციო რაიონებში კონტროლიორი ა. მაჩაბელი იმის გამოსარკვევად, თუ რათ იგვიანებს დამზადებული შეშის ჩამოტანა. ხსენებულმა კონტროლიორმა უკვე წარუდგინა ქალაქთა კავშირს მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი მდინ. რაიონის გადიდებისა და განუწყვეტელი წვიმების გამო მთელი საექსპლოატაციო რაიონი სადგურ ქალადიდიდან 7 ვერსის მანძილზე ტყეში, სადაც, დამზადებული იყო 850 ოთხკუთხი საჟენი შეშა, მთლად ავსილია წყლით და მისვლა—მოსვლა შეიძლება მხოლოდ ნავებით. ტყეში გაყვანილი ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა გაფუჭებულია, ამის და კვლავაც გრძელდება. მე 12 ვერსზე ტყეში შესვლა გამოკვლევის მოსახდენად შეუძლებელი შეიქმნა ნატანების რაიონში კი მუშაობა შეჩერებულია, რადგან იგი ოზურგეთის სამაზრო ერობაზე გადადის. აქ დამზადებული 100 საჟენის გამოტანაც შეუძლებელია. რადგან გზა [illegible] ხატანებს შუა წალეკილია და შეშის მიღება [illegible] ლაწყობა ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა, სხვა რაიონები პირდაპირ მიუვალი აღმოჩნდა და კონტროლიორმაც ვერ მოახდინა იქ გამოკვლევა.

— ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგება ხუთშაბათს 18 ნოემბერს, სრულ საღ. 7 საათზე, ქალ. თვითმართველობის დარბაზში მოწვეულნი არიან გარდა უკვე კომიტეტში წარმოდგენილ ორგანიზაციებისა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: პარტიათა, ეროვნულ უმცირესობათა, კოოპერატივთა, რკინის გზის, ერობის, ქალაქის, ქალაქთა კავშირის, სახალხო უნივერსიტეტის. წითელი ჯვრის, ,,ჩემო'' ბანკები, ფაბრიკებისა, და მექარხნეების საზოგადოებისა, სტუდენტებისა, პრესის, დეპეშათა სააგენტოს, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის, მეღვინეთა, მეცხვარეთა. მოსწავლე ახალგაზრდათა და აგრეთვე კერძო პირები. არავის უწყება არ გაეგზავნება, იმედია, ყველა აღნიშნული ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დაცვის საქმეში სხდომაზე დასწრებით.

— ეკატერინე ზაქარიას ასულს ადამოვისის 10 ნოემბერს სახლიდან მოჰპარეს ორ მილიონად ღირებული სამკაული. ეჭვით დააპატიმრეს ადამოვის მსახური გოგო სოფიო კონწვალჩი თ და მოსარეცხე მარიამ ირემაძე. ნივთები ჯერ ვერ უპოვნიათ.

— სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ალექსანდრე პაპიაშვილი რომელსაც ნახევარ მილიონად ღირებულ ნივთეების მოპარვა ჰბრალდება. ნივთები მოუპარავს გ. მუსერიძისათვის. ნაწილი ნივთებისა აღმოაჩინეს და პატრონს დაუბრუნეს.

— ქრთამის აღება. ექიმს გიორგი გიორგის ძე მეგრაბიანცი რომლის საკუთარ სახლებშიაც მოთავსებულია ქალაქის კუკიის მეორე სკოლა, მოლაპაკები ამ სკოლის გამგის თანაშემწეს ტიტე ვასილის ძე პირცხალაძეს ჩემი სახლებიდან სკოლა გადაიტანეთო ფიცხალაძემ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა მას და ქრთამად უთხოვნია 150,000 მანეთი.

ეს ამბავი თავის დროზე მოხსენდა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს პ. ზ. ფაჩულიას, რომელმაც დანიშნულ დღეს გადასცა მეგრაბიანცს 50,000 მან. ნდაწინვე ჰქონდა გადმოწერილი. ამავე დროს ბ-ნმა ფაჩულიამ დაავალა თავის თანაშემწეს გრ. ლორთქიფანიძეს ფარულად თვალყური ედევნებინა ფირცხალაძის და მეგრაბიანცისათვის.

წარსულ შაბათს დანიშნულ დროზე, მეგრაბიანცი მოვიდა ფირცხალაძის ბინაზე. ფული გადასცა და ესაუბრა ხუთ წუთს. ფულის მიღების შემდეგ ფირცხალაძემ ასტეხა საშინელი ყვირილი, გალანძღა მეგრაბიანცი და ხელით შეურაცყოფაც მიაყენა. ამ დროს ფიცხალაძისა შევიდა ბ-ნი გრ. ლორთქიფანიძე, რამაც თავზარი დასცა ფიცხალაძეს და თუმცა მეგრაბიანცისაგან გარდაცემული 50,000 მანეთი ხელიდან გამოსტაცა ბონები დიასახლისს, და მექრთამეობაში გამტყუნება დაუწყო ფირცხალაძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც თავის გამართლებას სცდილობდა და დიდ უარზედაც იდგა. ბოლოს იძულებული შეიქმნა გამოტეხილიყო და აღიარა, რომ ამის გარდა ექიმ მეგრაბიანცისათვის გამოურთმევია კიდევ 30,000 მანეთი დონის ფულებით. ეს ფულები მხოლოდ ახლა წარუდგინა აგენტს. ექიმი და დონის ფულები გაეგზავნა თბილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს ფიცხალაძე ჯერ ჯერობით თავისუფალია და შუამდგომლობაა აღძრული რომ თანამდებობიდან იქნეს დათხოვნილი.

სოხუმში.

სოხუმი. 11 ნოემბერი. თანახმად აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა პირველი ყრილობის დადგენილებისა, ქალაქთა და ერობათა დროებითი ბიურო მეორე ყრილობას იწვევს. ყრილობის პროგრამაში შემდეგი მუხლები არის შეტანილი:

1) განხილვა და დამტკიცება წესდების, კავშირისა და სასურსათო ცენტრის შესახებ, 2) ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება, 3) ქალაქთა და ერობათა კავშირის აღმასრულებელ ორგანოს არჩევა და სხვა.

სოხუმში დიდი თუთუნის ქარხანა იხსნება. ქარხანას საფრანგეთის სააქციონერო ამხანაგობა ხსნის. ამ კვირაში საფრანგეთიდან ქარხნისათვის საჭირო ახალ მანქანების მოტანას მოელიან. (ს. დ. ს.)

ბათომში.

როდის გათავდება რევოლიუცია.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო ბათომი ოქტომბრის 16 სოც. დემ. წევრების საერთო კრებაზე ნ. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრი, [illegible] რესპუბლიკას საფრთხე მოელოდა ფიქრობდა რომ ეს უკანასკნელი საფრთხე იყო მაგრამ უნდა გვახსოვდეს რომ რესპუბლიკა რევოლიუციონური ხანას განიცდის, იგი გარდამავალ ხანაში სცხოვრობს და ვიდრე ეს ასე იქნება, შეუძლებელია საშიშროების მოშორებაზე ვიფიქროთ, რევოლიუციონური პერიოდი კიდევ ხანგრძლივი იქნება. საკმაოა გავიხსენოთ რომ ორი კლასიკური რევოლიუცია ინგლისში და საფრანგეთში არა ნაკლებ 20 წლისა გრძელდებოდა. თანამედროვე რევოლიუცია უფრო ხანგრძლივი იქნება ვინაიდან იგი უფრო ცუდ პირობებში ხდება: ამ ჟამად თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ძალა უფლება მუშათა კლასის ხელშია, მაგრამ ეკონომიურად ბურჟუაზია ბატონობს. მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობა მანამდე არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ საწარმოო ფორმები არ იქნება შეცვლილი. რევოლიუციის სიხანგრძლივეს ხელს უწყობს აგრეთვე ასპარეზზე აზიის გამოსვლა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობენ რეაქციონური ელემენტები, რაც საქართველოს მძიმე პირობებში აყენებს. ქემალს აქვს უფლება როგორც უნდა ისე მოაწყოს ცხოვრება თავისი ქვეყნისა. მაგრამ იგი ცდილობს მთელი მუსულმანობის შემოერთებას, ამიტომ საქართველოს მართებს სიფრთხილე და მზად ყოფნა ყოველგვარ მოვლენისათვის. საქართველო არ წავა ქემალის წინააღმდეგ, იგი მშვიდათ უყურებს აგრეთვე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ გამოსვლებს, ვინაიდან მას (საქართველოს) ამ ჟამად ყავს არა მარტო ფიზიკური ძალა, არამედ იდეურიც. ეს მისი იარაღი არის ბრძოლა უკეთეს მერმისისათვის სოციალიზმისათვის. ს. დ. ს.

ტეტიები.

სურათი.

რკინის მოაჯირით შემოვლებულ ვერის მოედანზე, როგორც გალიაში, ასიოდე შეშის ურემი მოუმწყვდევიათ. შესავალთან მილიციონერები სდგანან და უდარაჯებენ. ქუჩა სავსეა ხალხით, უფრო უცხოელებით, რომელიც ელის ქალაქის აგენტს. ამ აგენტმა უნდა შეაფასოს შეშა და 15,000 მანეთად ღირებული ურემი 4 – 5,000 ად უნდა დაურიგოს. ხაფანგში გაბმული გლეხები ღელავენ.

ერთი ახალგაზდა გლეხი განზე გამდგარა და თავის თავს ებუტბუტება:

— დედას გიტირებთ... დაგვაცადეთ... დაგვაცადეთ...

— კაცო, სამართალი აღარ არი?— ყვირის მეორე გლეხი მეორე ჯგუფში. ჩვენი შეშა რომ დანიხრეს, რატომ არ დანიხრავენ თავიანთ საქონელს. ჩითი გვინდა, ტყავი, შაქარი და საპონი.

— ხალხო!—დაიძახა მესამემ.—აქ რაღაც ამბავია. აბა რა დასაჯერებელია, რომ ჩვენმა მთავრობამ ისეთი კანონი გამოსცა. ესენი გვატყუებენ. წავიდეთ ერთად ჩვენ მეფესთან და ვიჩივლოთ, წინათ თუ შორს იყო, ეხლა ხომ ახლოა. აქეთ იქიდან სიცილი მოისმა.

— რომელ მეფესთან, რეებს ლაპარაკობს.

— კონტრ-რევოლუციონერია...

გლეხი აირია, დაიბნა.

— როგორ თუ რომელ მეფესთან? კაცო, განა ჩვენ მეფე არა გვყავს?

ისევ სიცილი მოისმა.

— კაცო, რას იცინით! საქართველო ხომ თავისუფალია?

— თავისუფალია.

— მერე როგორ იქნება რომ თავისუფალ ქვეყანას მეფე არ ჰყავდეს? აკი ავირჩიეთ შარშან ჟორდანია...

ხალხში ხარხარი ისმის.

— ჟორდანია მეფე კი არ არის,

ერთმა გლეხმა კისერზე ხელი დაირტყა და მიუბრუნდა:

— თავმჯდომარე ჟორდანია კი არ არის, თქვენა ხართ. თავს დაგვასხედით და მოსვენებას არ გვაძლევთ.

— სულ ერთია, ჟორრანიასთან წავიდეთ.—დაიძახა პირველმა.

— წავიდეთ!.. წავიდეთ!—იგრიალეს გლეხებმა და გალიიდან გამოსვლა მოინდომეს, მაგრამ მილიციონერი გადაეღობა.

— ჯერ შეშა გაყიდეთ და მერე წადით.

ხალხი ჯგუფ ჯგუფად არის დაყოფილი და ცხარედ კამათობს. სოფელი და ქალაქი ერთმანეთს აბრალებენ მუქთახორაობას, სპეკულიანტობას. ყველაზე მეტად ერთი სტუდენტი ცხარობს:

— წინათ ასეთი ურემი შეშა ყიდულობდა ორ ფუთ საპონს, ეხლა კი, ნიხრით რომ გაყიდოს, ნახევარ ფუთს ვერ იყიდის. წინათ ეს შეშა იყიდიდა ორმოც არშინ ჩითს, ეხლა იყიდის ათ არშინს.

აქეთ იქიდან რეპლიკები მიაყარეს:

— სპეკულიანტებს ესარჩლები... მუშა მშიერია... გლეხმა უნდა გვიშველოს.

სტუდენტი არ უთმობს. ამ ჯგუფს შემოეხვივნენ გლეხები.

— სპეკულიანტებს კი არა, სამართლიანობას ვესარჩლები. ვინც მუშაობს მშიერი არ არი. თქვენ დღეში ხუთ საათსაც არ მუშაობთ, ესენი კი თხუთმეტსაც მუშაობენ, ღამეს ტყეში ათევენ, მუხლებამდე წყალში და თოვლში დგანან.

ვიღაცამ ხორცი ახსენა:

— ხორცს ათ თუმნად ვყიდულობთ.

— თქვენ ყოველდღე მირთმევთ ხორცს,გლეხი კი თვეში ერთხ ლაც არა სჭამს.

მეორემ ომი ახსენა.

— ომს გლეხი იხდის, მისი სისხლი უფრო იღვრება, მუშა კი სახლში რჩება, რადგან თავის დაზგას და ქარხა- ლია: აბა გადახედეთ ამ ხალხს, მუშლივით რომ დაეხვია ამ შეშას. ცხრა მეათედი უცხოელები არიან. სალდათს ესენი არ იძლევიან, სისხლს არა ღვრიან; თქვენ კი შეშას გლეხს ართმევთ და ამ ვიგინდარებს აძლევთ.

— მართალია, მართალი! დაიძახეს აქეთ—იქიდან.

— ეს არის სამართალი, თქვე ურჯულოებო, თქვენა!—გამოვარდა ერთი გლეხი.—შვილი მე მოვაკვლევინო თათარს, შეშაც მე წამართვან და ვილაც ოხრებს დაურიგონ! ეს არის სამართალი? ხალხო, წავიდეთ ჟორდანიასთან, იქნება ,,იმან მოგვცეს სამართალი.

—წავიდეთ—წავიდეთ.

არ გაუშვეს.

— არ შეგრჩებათ, შვილოსან, არ შეგრჩებათ. წაიღეთ შეშა, მაგრამ ზხამად ამოგივათ.

— ხალხო!—გამოვარდა ისევ ფიცხი გლეხი.—მოდი ფიცი დავდოთ, დიდა შეერთოს ცოლად ვინც ამას იქით ქალაქში შეშა მოიტანოს.

— ეგრე იყოს, აგრე!

— გზები შევკრათ. ვინც ხალხს უღალატოს და სიტყვა გატეხოს, გავაგდოთ სოფლიდან: წყალი შევუკრათ, ხმა არ გავცეთ, არაფერში მივეშველოთ... შევაჩვენოთ და დავწყევლოთ...

— აგრე.. აგრე იყოს.—მოისმოდა აქეთ-იქიდან.

ქალაქის აგენტი მოვიდა ხალხი მიესია შეშას როგორც მგელი დავლას.

ატყდა ყვირილი, მუქარა, ჟრიამული.

წამოვედი.

მეორე, მესამე და მეოთხე დღეს იმავე მოედანზე არც ერთი ურემი აღარ გამოსულა.

ალბათ გლეხებმა გზები შეჰკრეს.

მ. ადლი.

დაუდევრობა, თუ უგულობა.

(მიმდინარე მობილიზაციის გარშემო)

როგორც მკითხველმა იცის, ამ დღეებში გაიოცხადდა 4 წლის მობილიზაცია ერთდროულად.

რა თქმა უნდა, მიმღებ კომისიის კარებს მიაწყდა აუარებელი ხალხი, მაგრამ აღსანიშნავი ის ,რის, თუ როგორ დაუხვდნენ აქ მათ. ისედაც მოქანცული, წელში გაწყვეტილი მოქალაქე უცდის თავის ,,რიგსა''. ,,რიგი'' კი დაუსრულებელია; მწერლები, ან უფრო სწორედ მწერალი ვერ ასდის ათასეულ ხალხის მოთხოვნილებას და ვერ ასწრებს მათს უბრალო სიაში შეტანას. რამოდენიმე ათასეული კაცის რეგისტრაციას 1-2 ან 3 კაცი რომ აწარმოებდეს, ყოვლად შეუწყნარებელია, ნუ თუ უბრალო მწერალთა ,,მობილიზაცია'' უფრო ძნელია, ვიდრე მთელი საქართველოს ფეხზედ დაყენება... ნუ თუ კომისია ვალდებული არ არის რაიმე წესრიგი შეიმუშაოს და თავიდან აიცდინოს ის არევ-დარევა, უწესრიგობა და ქაოსი, რომელიც გამეფებულია მის საბრძანებელში.

ასეთი მოპყრობა ასეთ რთულ საქმისადმი არის უპატივცემლობა გასაწვევ ახალგაზრდათადმი, აჩლუნგებს აღფრთოვანებას, ხელს უწყობს აღშფოთებას და...დეზერტირობასაც კი.

ვერ ვიტყვით რომ ის ბინა, რომელიც დღეს უკავია კომისიას (სადგურის პირდაპი) ცოტაოდ მაინც შეეფერებოდეს თავის დანიშნულებას. ვიწრო შესავალი, ბნელი, უფანჯრო ორიოდე ოთახი, ბინძური ეზო,სადაც სწარმოებს, სხვათაშორის, საკანცელარიო მუშაობა (რეგისტრაცია) და მრ. სხვა.

არა ერთსა და ორს დაუკარგავს მოთმინება ამ ცივ ამინდში მინდორში დგომით და... თავისთვის უშველია.

მობილიზაცია გვინახავს სამაზრო ქალაქებში, სოფლებშიც კი, მაგრამ ასეთი არევ-დარევას და ყოველ-გვარ შევიწროვებას ხალხისას არსად შევხვედრივართ და ნურც შეგვახვედროს ღმერთმა.

გვგონია, რომ ქალ. გამგეობა, რომლის წარმომადგენელიც ყოველ დღე მოწამე აწერილ ალიაქოთისა, მიიღებს ზომებს პირობების გასაუმჯობესებლად და იმედაც ილაჯ-გაწყვეტილ ხალხს, რომელნიც მოსულან სამშობლოს წინაშე თავის ვალდებულების პირნათლად მოსახდელად, გაუადვილებს თვით ჯარში შესვლის პროცესსა და ჯარში წასვლის უმალ ენერგიას არ შეუსუსტებს და ავად არ გახდის მრავალ ახალგაზრდათა.—

საჭიროა 1) უფრო შესაფერი ბინა და ადგილიც, 2) მეტი შტატი მწერალ—რეგისტრატორთა, 3) საალფავიტო სისტემის დაცვა ბოლომდე და მაშინ იმას, რასაც ერთი კვირა ვერ ასდიან—2—3 დღეში სავსებით მოასწრებენ.

შ. მიმომხილველი.

თეატრი და მუსიკა

,,კარმენი''

შეიძლება ითქვას, რომ ფრიდრიხ ნიცშე ვაგნერის მუსიკისაგან ,,კარმენით'' განთავისუფლდა. ზეკაცის მომღერალი დათვრა ,,კარმენის'' ჯადოსანი მუსიკით. აქ სიცოცხლე თავის თავად არის აღებული: ხისოცხლე გარეშე ყოველი განმარტებისა. კითხვა ,,რა'' აქ ადგილს უთმობს ,,როგორს''. ცხოვრების შინაარსი იჩრდილება აქ განცდის ტემპერამენტით. ,,კარმენი'' ბოლოს და ბოლოს ტემპერამენტია საზღვარგადასული სიცოცხლის. მზე, ხმალია. გამოწვევა, ჯიბრი, სიყვარული, შურვილი, ხალისი,—ყველა ეს ,,კარმენში'' დიონისური თრობის ხვეულებია. და რაც უფრო საგულისხმოა: ეს ბედის მიღება ნების უკანასკნელ წვეთამდე. ეს ფატუმის სიყვარული ატორტმანებს ,,კარმენის'' ავხორცობას.

მთავარი როლი აქ კარმენისაა. შესანიშნავი კარმენია დავიდოვის ქალი, არა უშავს რა სპიტკოს, ხოლო სობესკაიას კარმენი ყოვლად შეუწყნარებელია. ამისათვის უკანასკნელს არ აქვს არც მწველი შავგვრემანის სილამაზე, არც ავხორცი ტანის სიმაგრე, არც ჟინიანი მიმოხვრა, არც ხმა, არც ტემპერამენტი. ასეთი კარმენი ადუნებს ,,კარმენის'' აზვირთებას. კარგი არის დონ-ხოზე სარაჯიშვილი. კარგად მიჰყავს თავისი პარტია ისეცკის. ბალაბანს ტორეადორისათვის აკლია ვაჟური სიმკაცრე და ხმის ლითონური სიმკვეთრე.

დეკორაცია მოხდენილად არის დამუშავებული.

,,ქეთო და კოტე''

ვიქტორ დოლიძეს კარგი მუსიკალური სმენა ჰქონია. ან უფრო მართლად რომ ვსთქვათ—კარგი მუსიკალური ხსოვნა. მის ,,ქეთოსა და კოტეში'' მრავალი არია ისმის ყველასთვის ცნობილი. განსაკუთრებით შეყვარებია მას ,,სევილიელი დალაქი'', რომლისაგანაც ბევრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესხულობს. ქართული მოტივიც ისმის აქა-იქ. საერთოდ: „ქეთოსა და კოტეს“ მუსიკა მცირე ფასულობისაა.

ის, რაც აცხოველებს ამ ნაწარმოებს, თვითონ კომედიის უკვდავი ძალაა. განსაკუთრებით კომიკურია მეორე აქტი. შესანიშნავია ისეცკი „მოქალაქის“ როლში. ამ არტისტს მაგარი ხმის გარდა აქვს ნამდვილი სახიობის ნიჭი, მარტოდ მარტო მისი გრიმი რად ღირს?! განუწყვეტელ სიცილს იწვევს ცეკვის მასწავლებელი (სერგეევი), რომელიც ერთს სიტყვასაც არ ამბობს, მაგრამ ცეკვაში და მისალმებაში იძლევა შესანიშნავ კარიკატურას. აგასოვა-კალანდაძისა ძალიან კარგია ქეთოს როლში: ხმაც კარგი აქვს და თამაშიც კარგი იცის.

დადგმის მხრით წუნი არ ითქმის: ძველი თბილისი მართლაც ნაგრძნობია. ვისაც სიცილი უნდა, „ქეთოსა და კოტეს“ მეორე აქტი ძალზე დააკმაყოფილებს.

ბ. გ.

სამხატვრო ქრონიკა.

სახელმწიფო ოპერის თეატრში.

ნოემბრის 17-ს: ევგენი ონეგინი.
ნოემბრის 18-ს: კოტე და ქეთო.
ნოემბრის 19-ს: პირველად ქართულ სცენაზე ლალატი
ნოემბრის 20 ს: რუსალკა.
ნოემბრის 21-ს: მორდკინის ბალეტი „კოპელია“
ნოემბრის 22 ს: ლალატი.
დასაწყისი 8 საათ.

სახელმწიფო დრამის თეატრში.

ნოემბრის 20 ს: უგვირგვინო მეფენი; ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სვიმონ-ერისთავისა, აკ. ფალავას რეჟისორობით.

ჩვენი კორესპონდენციები

თბილისი.

(კიდევ სამხედრო ცხენებზე).

საქართველოს რესპუბლიკაში ყველაფერი ნადგურდება—და მოსპობის გზას ადგია. ჩვენ გვყავდა ცხენები რუსების ფრონტის დაშლის შემდეგ—გავსწყვიტეთ რევოლუციის და მის გაღრმავების დროს. მოვიდენ გერმანელები და ჩვენები უყურებდენ თუ რა რიგათ მოვლილი და შენახული ყავდათ გერმანელებს თავიანთი ცხენები. გერმანელები წავიდნენ და მათი ძვირფასად მოვლილი ცხენები დაუტოვეს რესპუბლიკას, იმ იმედით, რომ ამ მოვლილ და შენახულ ცხენებს სახელმწიფო გამოიყენებსო. მაგრამ მოსტყუვდენ და ეს ჩინებულად შენახული ცხენები განადგურდენ ისე, როგორც რუსების.

გერმანელებს მოჰყვნენ ინგლისელები. აქაც მშვენიერი ევროპიული კულტურა ევროპიული გუმანობა ცხოველებისადმი. ცხენები და ჯორები საუცხოვო მოვლილი ჰყავდათ. ჩვენი ხალხი განცვიფრებული იყო: ნეტა რას აჭმევენ ინგლისელები, რომ ასე სუფთათ და შენახული ჰყავთ თავიანთი ცხენებიო.

არა, ბატონო, კვება იქ არაფერია, სადაც ცხენებსა და ჯორებზე გამართულია მარულა. ქართველს ეს რაღაც ველურობა დასჩემებია: თუ კი მან ცხენი მოიგდო ხელში, ისე აწამებს მას, რაც უნდა კვებო, კარგავს ყოველივე ღირსებას და რამდენიმე ხნის შემდეგ ესალმება წუთისოფელს.

ჩვენმა რესპუბლიკამ შეიძინა ინგლისელებიდან ცხენებიც და ჯორებიც—მაგრამ—რა სანახავი იყვნენ ისინი მაშინ და რანი არიან ისინი დღეს?

12 ნოემბერს მე მივდიოდი საბურთალოზე სწორედ იმ დროს, როდესაც ცხენები და ჯორები მოჰყავდათ წყლიდან—მგონი გვარდიელებს—უნდა გენახათ საწყალი პირუტყვები, რა მდგომარეობაში იყვნენ: ზოგი მოაჭენებდა, ზოგი მიათოხარიკებდა, ზოგი მარულობდა, ზოგი ჩამომხტარიყო და ლაგამს სცემდა ჯორს და საცრალო ჯორებიც, ხან ერთ კედრით გაუხტებოდა და ხან მეორეთი—სწორეთ ნამდვილი წამება იყო პირუტყვების.

ეს მშვენივრათ შენახული ინგლისელების ხელში ჯორები და ცხენები დღეს გაძვალ ტყავებულია. როდესაც ადამიანზე არც დანახვა, არც სწავლა არ მოქმედობს—მაშინ უფროსები ვალდებულნი არიან დარწყულების დროს გაატანონ უფროსი აფიცერი, ან ბეითალი ექიმი, რომ ცხენებს ააცდინონ მარულები და ტანჯვა-წვალება. მე მოვახსენებ სამხედრო უწყებასა და გვარდიას, რომ ასე ცუდათ მოქცევა და მოვლა გამოფიტავს ცხენებს და ჯორებს—და გამოუსადეგარი გახდებიან იმ მიზნებისათვის, რა მიზანსაც ისინი ემსახურებიან ერთი და მეორე ის რომ საქართველოს ადგილობრივი ცხენი, რა პირობებშიც, გლეხობა ზრდის მას არ არის გამოსადეგი სამხედრო უწყებისათვის და მით უმეტესათ არტილერიისათვის. სამხედრო უწყებაში დარჩენილი ცხენები—მგონი თუ არ ვცდები მსოფლიო ომის დროიდან არიან,—და ძველათ, 12-14 წლისას ანთავისუფლებდენ მუშაობისაგან.

მაშ, რატომ არ აქცევთ ყურადღებას ან ახლებს საიდან მოელით?

რ. ქუთათელაძე.

დ. ცხინვალი.

ცხინვალის წვრილი ერთეული, ანუ თემი, არც ისე „წვრილი“—რომ მართლა წვრილ ერთეულის სახელი ატაროს, ასეთი დიდი სათემო ტერიტორია საქართველოს არც თემს არ უჭირავს. მართალია, ამ წვრილ ერთეულის გამგეობაში ტანწვრილი გამგეები სხედან, რომლებითაც დაწვრილმანებული გამგენი გრძნობენ თავიანთ უტიფრობას, სურთ დიდი საქმეები გააკეთონ, მაგრამ არ ძალუძთ იგი. ცხინვალის თემის გამგეობას დიდი სასოფლო სამეურნეო საქმეების გაკეთება ევალებათ თავის თავად. მაგალითად:

ფონდის მამულებში ღალების აკრეფა—რომლის შემოსავლიდგან ჯამაგირების აღების იმედი აქვთ გამგეებს, კულტურული მამულების მოვლა-პატრონობა და შემოსავლის მორთვლევა. ტყეების მოვლა პატრონობა, ოსებისგან განთავისუფლებულ სახლკარ ბინადრობის მოვლა და სასარგებლოთ გამოყენება, საცდელ მინდვრების გამართვა, სამეურნეო იარაღების გამქირავებელი პუნქტის მოწყობა, საქონლის და ფრინველის ჯიშების გაუმჯობესობა, [illegible] შენახვა, ხალხის ჯანმთელობისათვის ზრუნვა და საავათმყოფოს დაარსება ექიმებ ფერშლებით, ბებია ქალებით, და აფთიაქით, სწავლა განათლებაზე ზრუნვა და შკოლების გახსნა, მათზე ზრუნვა სათბობის შეძენა გზებისა და საწყავ რუების გაფართოება და გამშვენიერება, ფოჩტის წესიერად მიმოსვლის მოწყობა, და სხვა და სხვა ბოლოს სადმინისტრაციო აპარატის მოწყობა, ერთგულ მელიციისა და მის უფროსის ყოლა,—საიმედო ცხენებით, ხალხის დაბეგვრა წესიერად და თვალყურის ჭერა, რომ უბრალოთ ხალხი არვინ შეწუხონ წარამარა უკანონობებით. აი იმ მოვალეობის ზოგიერთი პროგრამა, რაზედაც თემის გამგეობა უნდა ზრუნავდეს და თავს დასტრიალებ წვრილ ერთეულის მოხელენი, მაგრამ ეს ასე არ არის, სურვილი კი აქვთ ყველა ზემო ჩამოთვლილის გაკეთებისა, მაგრამ გაკეთებით ჯერ არა გაკეთებულარა. მართალია, ზოგიერთა სოფელში შკოლები დაარსა თემმა, და რამდენიმე შეუღებავი პარტები შეიტანეს რომელიმე სოფლის ცივ, ბნელ და ჭუჭყიან ოთახებში სწავლა კი ჯერაც ბევრგან არ დაწყობილა. რადგან არც თავის საქმის ერთგული მასწავლებლები ჰყავთ, არც ერთგული მელიციონერებიდა მათი უფროსი და არც თუ ხალხი იტკივებს თავს სწავლა შეძინოს თავის ბავშვებს, რადგან ხალხს ჩააგონეს რომ „ნასწავლმა ხალხმა ამოსწყვიტა ქვეყანაო“.

მერეა და ქართველი ხალხი ეგოისტია, შვილი რომ ეზდება, ეს თვისთვის უნდა, მას უნდა „გამოადგეს“, უშველოს ყველა სამუშაო საქმეზე, ღორებს მოუყენოს, საქონელს მოუდგეს. ტყეში წაჰყვეს, გუთანზე მეხრეთ გაიყვანოს და ალო ამოაღებინოს და სხვა.

ღვთის წინაშე ცხინვალის თემის გამგეობის თავმჯდომარე შაქრო ნაცვლიშვილი შვილებზე ძალიან ზრუნავს. მას, რომ მილიციის უფროსი არ გაუგონებს საქმის შესრულების დავალებას, თითონ შეჯდება ცხენზე და მარტოთ მარტო მიემგზავრება სოფელში, დაიქირავებს საკლასო ოთახს, მოელაპარაკება ხალხს, ხალხიც დაჰპირდება, რომ ბავშვებს მივიყვანთ შკოლაშიო და სხვა მასწავლებლებს თოთონ სძებნის, ჰპირდება მათ ყოველივე დახმარებას შეშით, სასწავლო ნივთები და სხვა, აი გასცემს ბრძანებას მილიციის უფროსის მიმართ, ჩამოატანინოს ბეგრით ხახს ტყეში დამზადებული შეშა, მაგრამ, დახე უბედურებას, მილიციის უფროსი ვერ ასრულებს ბრძანებას, აგერ მოდის თოვლიც აცივდა, მასწავლებლები ბუნტსა შვრებიან, იფიცებიან, რადგან შეშა არა აქვთ და სცივათ თემის შეშინებული თავმჯდომარე მიდის თავის რაზმით სოფელ კეხვში, საშინელ ზღვა ტალახიან გზაში ართმევს კეხველებს დამზადებულ სუთად ხუთ საჟენ შეშას სხვაზე უკვე გაყიდულს და მიაქვს უსაძაგლეს თოვლჭყაპიან ამინდში ბეგრით, წყევლა კრულვით შეშის პატრონს კი ბარათს აძლევს რომ „ჩაწერთვა შეშა სესხის სახით“ ამასა და ამას.

რომ ჰკითხოთ: „რათ იწუხებ თავს, თავმჯდომარევ, რატომ თქვენს საქმეს არ აკეთებთ და მილიციის უფროსის საქმეს რად ეწევით?“ გიპასუხებთ!

„რა ვქნა მილიციის უფროსი არ მიგონებს, ითვრება და ამის გულისთვის რომ არ დავსჯი, ბევრი—ბევრი სამსახურიდან დავითხოვო“!! აი პასუხი. გარეშემო სულ ორგულობა, თავის მოვალეობის შეუსრულებლობა, მარტო ნაცნობ ნათესავებში მთვრალობა და სხვა არაფერი, დაუსჯელობა. ღვთის წინაშე ერთი საქმე კეთდება ერთგულად: დადის ცხინვალის თემის გამგეობის ერთ—ერთი წევრი სოფელ სოფელ, მართავს ყრილობებს და ხალხს ურჩევს სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ჩაეწერეთო, მთავრობაში ფეხები შემოჰყვეს თეთრ ხელიანებმაო, ფედერალისტებმაო და უნდა გავაშავოთ ისინიო.

ხალხი თავის ქნევით ანებებს კრებას თავს, ანგარიშს უწევს მომენტს და ერთმანეთს ეჩურჩულებიან: „მთავრობა დარჩათ დურგლებს, მჭედლებს, ხარაზებს დალაქებს, ფინჩებს და სხვებსო მხნელ მთესველი კი არავინ ჩანსო.

ა. ლევანიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ჟურნალ „მხედრის“ რედაქტორს შევეკითხო შემდეგი:

ჟურნალ „მხედრის“

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენ მე ოფიციალურად გამომიცხადეთ. თქვენ წერილებს ვერ გაუშვებთ ჟურნალში, ვინაიდგან მე ამის შესახებ კატეგორიული ბრძანება მივიღე ზოგიერთ წევრებისაგან. რომ კაპიტან ალ. გორგაძის წერილები არ იბეჭდებოდეს ჟურნალშიო. თუ ეს მართალია, მიკვირს და ვერ გამიგია, რამ აიძულა ის ზოგიერთი წევრები, რომ ჩემი ღირსეული წერილები არ დაბეჭდილიყოს, ზედმეტია, რასაკვირველია, უღირს წერილებზე ლაპარაკიც.

მე ამის საპასუხოთ გეკითხებით: რა მიზეზია უკან არ მიბრუნებთ ჩემს დაუბეჭდავ წერილებს რომლებიც მე არა ერთჯელ მოგთხოვეთ. რა მიზეზია, რომ არ მისახელებთ იმ წევრს, რომელიც ასე უდანაშაულოთ, უდიერათ. მომექცა, რომლის ვინაობის გაგება მე მსურს. უკეთუ მე თქვენ მიერ ამ შეკითხვებზე შესაფერის გახმარტებას არ მივიღებ გაზეთის საშუალებით, იძულებული ვიქნები მოგახსენო საქმის ნამდვილი ვითარება ბ-ნ სამხედრო მინისტრს და ყველაფერი იმავე დროს გაზეთის ფურცლებზე გამოვამჟღავნო.

კაპიტანი ალ გორგაძე

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი სპ. კედია.

მატარებელთა მიმოსვლა.

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 53. წ.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14 წ.
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 ს. 37 წ.
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9 ს.
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 ს. 45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30 წ.

თბილისში მოდ ს.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27 წ.
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღამის 12 ს. 2 წ
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13 წ.
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ღამის 12 ს. 58 წ.
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღამის 2 ს. 16 წ.
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 წ.
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10 წ.
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8 ს.
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დღის 4 ს. 20

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭირით ცხვრის სასულე-მილის ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2 თვ.

დ. ი. ჯაფარიძ
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყ
ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1
საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ა
ქსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 17—49.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა ს
ლებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და სა
5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (შ
ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვი
№ 3208.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავა
მყოფებს დილის 8—12 ს. ვენერი
სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 91
და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7
გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ.
თხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95.
322

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფ
მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელ
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტა
ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207

სამობილიზაციო.

განცხადება.

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქარ
ველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში მთ
რობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მ
თავისუფლების დასაცავად ნაწილობრივი

მობილიზაცია.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ქვე
ქვეშევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრე

დაბადებულნი

890, 1891, 1892, 1893 წლებში.

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლ
ქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხ
ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა) ამა წლის 10 ნოემბ
დილის 10 საათზედ **ჯარში წასასვლელად.**

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსა
რზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოც
მულ „სამხედრო ბეგრის დებულების“ 33 მუხლის დამატების მიხედვით
რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე 3
ხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბ
კა“ 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობ

სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და ს
თადარიგო პირნი: რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდებ
გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან. ყო
ველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხა
ბისა.

ამა წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელ
გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდ

1920 წელი 9 ნოემბერი
დილის 10 საათი.

თბილისის ქალაქის გამგეობ

ერთა ლიგა.*)

4.

1. წევრები ერთა ლიგისა. 2. ორგანოები. 3. სუვერენობა და პრინციპი შეთანხმებისა.

ერთა ლიგა სრულებით ბუნებრივი შედეგია საერთაშორისო უფლების განვითარებისა, და იმ პოლიტიკური კონიუნქტურისა, რომელიც შექმნა მსოფლიო ომმა. ერთის მხრივ, გამარჯვებული სახელმწიფოები შეეცადნენ შექმნათ ისეთი უფლებრივი ურთიერთობა, რომელიც ცოტათი მაინც გარანტიას იძლეოდა მათი გამარჯვების შედეგების უზრუნველსაყოფად, და—მეორე მხრივ—არა რაიმე რევოლიუციონური აქტი, არამედ თანდათანური განვითარება საერთაშორისო უფლებისა იყო ერთად ერთი საიმედო გზა ამ მიზნის მიხწევისათვის. ამისთანა პირობებში დაიბადა ერთა ლიგის ხელშეკრულება.

შემცდარი იქნება ის აზრიც, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ხელშეკრულება გამომხატველია მხოლოდ გამარჯვებულ სახელმწიფოთა სულისკვეთებისა. არა, გამარჯვებულ სახელმწიფოთა ბჭობაში სცემდა სხვა და სხვა ტალღა, საყურადღებო და მნიშვნელოვანი. სკანდინავიის სახელმწიფოებმა წარმოადგინეს თავის პროექტი ერთა ლიგისა, უფრო შესანიშნავია პროექტი, წარმოდგენილი შვეიცარიის მიერ. ბერნის სოციალისტურ კონგრესმა მიიღო მთელი წყება თავის რეზოლიუციებისა შესახებ ერთა ლიგის

და ამისა მრავალია სამშვიდობო საზოგადოებანი საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში—ყველგან იყო აღტყინებული მუშაობა, ყველამ შეიტანა თავისი აზრი, ყველამ იქონია ცოტად თუ ბევრად თავის ზედგავლენა ირიბად თუ პირდაპირად... ყველა ამ პროექტების და აზრების განხილვას ჩვენ აქ ვერ მივუდგებით. საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ერთა ლიგის ხელშეკრულება არ არის არც რეაქციონული რამე, როგორც ბევრი გაიძახის, არც იდეალური რამე, როგორც ბევრსა ჰგონია. იგია მხოლოდ უკანასკნელი ეტაპი საერთაშორისო უფლების განვითარებისა, და როგორც ყოველი უფლებრივი წყობილება, ექვემდებარება ევოლიუციის ზოგადი კანონს. იგი თანდათან უნდა განვითარდეს, მისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება თვით საერთაშორისო განწყობილება, გაასწოროს თავისი ნაკლი, მიიღოს ახალი ნორმები და თანდათან უფრო გაიდგას ფესვი კაცობრიობის შენობაში.

ჯერ ჯეროვნით შევისწავლოთ ის, რაც არის.

თავდაპირველად ყურადღების ღირსია თვითონ სახელწოდება ამ ახალი საერთაშორისო დაწესებულებისა. ვერსალის ხელშეკრულება დაწერილი ორ ენაზე ფრანგულად და ინგლისურად. ორივე ენა ცნობილია ერთძალოვანად. ფრანგულად. ნახმარია სიტყვა „საზოგადოება“, ინგლისურად—„ლიგა“. ჩემის აზრით, ჯერ ჯეროვნით, სანამ ყველა ერი ან სახელმწიფო არ გამხდარა წევრი ამ დაწესებულებისა, უფრო სამართლიანია მას ვუწოდოთ ლიგა, ვიდრე საზოგადოება. როცა გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი და სხვა ახალი სახელმწიფოები შევლენ ამ და-

ლი „საზოგადოება“ და არა „ლიგა“. მერე შევლენ კი ყველა ეს სახელმწიფოები?

აქ იბადება პირველი საკითხი: ვინ არის წევრი ერთა ლიგისა და ვის აქვს ამისი უფლება?

თვით წარმოშობა ერთა ლიგისა გვაძლევს პასუხს. აშკარაა, თავდაპირველად წევრნი უნდა ყოფილიყვნენ გამარჯვებულნი სახელმწიფონი და მათი მოკავშირენი. მაგრამ ასეთი ლიგა არ იქნებოდა კიდევ საერთაშორისო უფლებრივი მოვლენა, იქ რომ შესულიყვნენ ბევრი სხვა ნეიტრალი სახელმწიფონი. პირველად ერთა ლიგის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 32 სახელმწიფომ, შემდეგ 13 ნეიტრალმა. ლიგის გარე დარჩა გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი, როგორც დამარცხებული სახელმწიფონი. რასაკვირველია ეს კიდევ არ ჰნიშნავს იმას, რომ ეს სახელმწიფოები სამუდამოდ გარე დარჩებიან. მათ, როგორც ომში დამარცხებულ სახელმწიფოებს ჯერ დაკისრებული აქვსთ სხვადასხვა ვალდებულება და სანამ ამ ვალდებულების ნაწილობრივი ასრულება მაინც ჯერ არ დაუწყიათ, მათი მიღება ერთა ლიგაში ჯერჯერობით შეჩერებულია. მაინც ყველგან დიდია მოძრაობა მათი ლიგაში მიღებისათვის. ეჭვი არ არის, ისინიც მალე შევლენ და მიიღებენ მონაწილეობას ლიგის საერთო მუშაობაში.

ლიგაში არ შედის აგრეთვე რუსეთი. ეს ქვეყანა დაიშალა. მას ჩამოშორდნენ არა-რუსული ნაწილები—ფინეთი, პოლონეთი, ესტონეთი, საქართველო და სხვა.

ამ ახალ სახელმწიფოთა შესვლა ერთა ლიგაში დღეს მორიგი საკითხია; ეჭვი არ არის. ყველა მიღებული იქნე-

ქუაზიულ“ საერთაშორისო უფლებას და ცდილობს დაამხოს სოციალური წყობილება მთელი მსოფლიოსი. ამისთანა ქვეყანა, რასაკვირველია, ერთა ლიგაში მიღებული არ იქნება.

ხელშეკრულების პირველი მუხლის ძალით, „ყოველი სახელმწიფო, სამფლობელო ან ახალშენი, რომელსაც კი აქვს თავისუფალი მართვა-გამგეობა, შეიძლება გახდეს წევრი ერთა ლიგისა“... თუ მან მოიღო გარანტია იმისი, რომ გულწრფელად აასრულებს ყველა საერთაშორისო ვალდებულებას, განსაკუთრებით შესახებ თავის სამხედრო ძალებისა. ეს უკანასკნელი შეზღუდვა უფლებისა, აშკარაა, მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ, და მაშასადამე, აქვს დროებითი ხასიათი. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ ლიგაში შესვლის უფლება ძალიან ფართოდ არის დაყენებული. არა მარტო სახელმწიფოს აქვს ეს უფლება, არამედ სამფლობელოსაც და ახალშენსაც, ე. ი. ისეთ ქვეყნებსაც კი, რომლებიც არ არიან სუვერენული სახელმწიფონი, არამედ შეადგენენ ცოტად თუ ბევრად ავტონომიურ ნაწილს, რომელიმე დიდი სახელმწიფოისას. ერთად ერთი მოთხოვნილება არის თავისუფალი მართვა გამგეობა და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამიტომ ერთა ლიგაში უკვე ირიცხებიან კანადა, ახალი ზელონდია, ავსტრიელთა და სხვა ინგლისის იმპერიის ავტონომიური ნაწილები. ამ ორი თვის წინედ ინგლისმა იცნო ეგვიპტის ცოტად შეზღუდული დამოუკიდებლობა, ამიტომ ეჭვი არ არის, ეგვიპტეც მალე შევა ერთა ლიგაში. ასეთივეა ირლანდიის საკითხიც უკვე მოვიდა ცნობა, რომ თემთა პალატამ მიიღო ირლანდიის ჰომ რული დამტკიცდება, თუ არა საბოლოოდ ეს

სი მართვა გამგეობა იქნება დამოუკიდებელი და მხოლოდ ეს მომენტი არის საჭირო იმისთვის, რომ ირლანდია მიღებულ იქმნას ერთა ლიგაში.

მაინც ხელშეკრულების ძალით, ავტომატიურად ლიგაში არ შედის არც ერთი სახელმწიფო. შესვლისათვის საჭიროა ორი მესამედი ყველა ხმებისა ერთა ლიგის ყრილობაში.

განვიხილოთ ეხლა ორგანოები ერთა ლიგისა. მართალია, კონსტრუქცია ამ ორგანოებისა ბევრს არ მოეწონება. გაცხარებულ დავას იწვევს როგორც საბჭო, ისე ყრილობაც. არც ერთში და არც მეორეში არ არის მკაცრად გატარებული ჩვეულებრივი იურიდიული აზრი. ყრილობა არ არის რაიმე კანონმდებელი ორგანო საბჭო არ არის მატარებელი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისა. რად მოხდა ასე? რა არის ეს? უბრალო არევდარევა იურიდიული შემეცნებისა, თუ აუცილებელი შედეგი უფრო ღრმა მიზეზებისა?

რა საკვირველია, ეს შედეგია იმ ძირითადი იდეური წინააღმდეგობისა, რომელშიდაც იმყოფება იდეა სახელმწიფოსი და იდეა ლიგისა და საზოგადოებისა. ერთი ძირითადი დებულება საერთაშორისო უფლებისა არის სუვერენობა სახელმწიფოსი. სახელმწიფო გამოდის საერთაშორისო განწყობილებაში, როგორც დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი პიროვნება. თეორიულად იგი არ ემორჩილება არავის, იგი თავისუფალია და დამოუკიდებელი. ამას პირდაპირ ეწინააღმდეგება იდეა ლიგისა ან საზოგადოებისა. საზოგადოება ჰნიშნავს უფლებას, უფლება კი არის განსაზღვრა თავისუფლებისა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საზოგადოება,

თუ არსდება ერთა საზოგადოება, უნდ
განსაზღვრულ იქნას უფლება და მო
ლეობა ამ საზოგადოების შემადგენელ
ერებისა ე. ი. ცოტად თუ ბევრად შ
იზღუდოს მათი თავისუფლება ან მათ
სუვერენობა.

ამ ძირითადი წინააღმდეგობისაგ
არის ერთი გამოსავალი: არ არის შ
ზღუდვა თავისუფლებისა იქ, სად
შეზღუდვა თვითონ არის აქტი თავ
სუფლებისა. თუ მე თანახმა ვარ მ
ლო თავისთავზე რაიმე ვალდებულე
ეს იქნება აქტი ჩემი ნების ყოფისა,
არა სხვისი ძალდატანებისა. ამ ნაირ
ვალდებულების მიღება სახელმწიფ
მიერ, მისივე თანხმობით, მისივე ნ
ბისყოფით, გამოდის აქტი მისივე თ
ვისუფლების და არა შელახვა ან შ
ღუდვა მისი სუვერენობისა. აი, სწორ
ამ პრინციპზე არის დამყარებული ე
თა ლიგის ხელშეკრულება. მასში სავს
ბით დაცულია სუვერენობა ყოველი ს
ხელმწიფოსი და ამავე დროს შემდგ
რია საზოგადოება, რომელშიდაც შ
ღუდვა თავისუფლებისა დამოკიდებულ
საერთო შეთანხმებაზე. მე 5 მუხლი ა
ბობს: „გადაწყვეტილება ყრილობისა
საბჭოსი ჰხდება ერთხმად კრებაზე დ
სწრე წევრთა მიერ, უკეთუ წინააღ
მდეგი პირდაპირ არ არის განსაზღვრუ
ლი ამ ხელშეკრულებით“. მ რთალი
ასეთი პრინციპი ძალიან შეაფერხე
ერთა ლიგის მუშაობას, მაგრამ სხ
გზა არ იყო და არ არის. სუვერენობ
ეტრფიალება ყველა, ყოველი სახე
მწიფო, დიდი და პატარა. არავის უ
და შეიქმნას რაღაც ახალი ბატონ
ახალი სუვერენი, და მას დაუმორჩილ
თავის ბედი და მომავალი.

ამ გარემოებამ გამოიწვია თავისებ
რი კონსტრუქცია მთელი ლიგისა.